F 115
1971

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

СБОРНИК

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

Министерства просвещения Грузинской ССР

10

ოქტომბერი

თბილისი—1971

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წ. 30 ივლისის ბრძანება № 424

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლა-ინტერნატების, სასწავლო დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოთა შრომის დაცვის ნაკრებ ნომენკლატურულ ლონისძიებათა შესახებ

„შრომის დაცვის ტიპიური ნაკრები ნომენკლატურული ღონისძიებების შესახებ", პროფკავშირის საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის 1969 წლის 30 მაისის დადგენილების (ოქმი № 10, პ. ვ.) შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დამტკიცდეს და 1971 წლის ივლისიდან მოქმედებაში შევიდეს „შრომის დაცვის ნაკრები ნომენკლატურული ღონისძიებები საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლა-ინტერნატების, სასწავლო დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოთათვის", რომელიც შეთანხმებულია განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკურ კომიტეტთან (დანართი № 1).

2. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლა-ინტერნატების, სასწავლო დაწესებულებების, ორგანიზაციების და საწარმოთა ხელმძღვანელებმა (დირექტორებმა, წარმოების უფროსებმა):

ა) აღნიშნული ნომენკლატურა მიიღონ სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად;

ბ) დამტკიცებული ნომენკლატურის საფუძველზე, პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტებთან შეთანხმებით, ყოველწლიურად შეიმუშაონ შრომის დაცვის მდგომარეობის გაუმჯობესების ღონის-

ძიებები, წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევებისა და დაავადებათა ანალიზის გათვალისწინებით, აგრეთვე შრომის დაცვის საერთო მდგომარეობის მიხედვით.

შემუშავებული ღონისძიებები გაფორმდეს ადმინისტრაციასა და პროფკავშირის ორგანიზაციებს შორის შეთანხმების დადებით (დანართი № 2);

გ) შრომის დაცვის გასაუმჯობესებელი ნომენკლატურული ღონისძიებები უზრუნველყოთ ტექნიკური დოკუმენტაციით, დაფინანსების წყაროებით და მატერიალური სახსრებით;

დ) შეთანხმების შესრულების ზემოწმების აქტი—შრომის დაცვის ნომენკლატურულ ღონისძიებებზე დაშვებული თანხების ათვისებაზე (დანართი № 3) ყოველწლიურად წარუდგინონ განათლების განყოფილებებს: I-ლი ნახევარწლიური—10 ივლისისათვის, ხოლო წლიური—10 იანვრისათვის. თავის მხრივ განათლების განყოფილებებმა ნაკრები ანგარიშები ანალოგიური ფორმით წარმოადგინონ განათლების სამინისტროში 20 ივლისისათვის და 20 იანვრისათვის.

ე) არ დაუშვან შრომის დაცვის ნომენკლატურულ ღონისძიებებზე გამოყოფილი სახსრების სხვა მიზნებით გამოყენება;

იმ შემთხვევაში, როცა ამ ღონისძიებებზე ასიგნებული სახსრები მთლიანად არაა ათვისებული, დარჩენილ ნაწილს ადმინისტრაცია პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით ხარჯავს სხვა დამატებით ნომენკლატურულ ღონისძიებებზე;

ვ) მიღებულ იქნეს ცნობად, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლა-ინტერნატების, სასწავლო დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და წარმოებების ადმინისტრაციული ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შრომის დაცვის ნომენკლატურული ღონისძიებების შეუსრულებლობისათვის, ანდა ამ მიზნებისათვის გამოყოფილი ფულადი და მატერიალური სახსრების არადანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის;

3. დაწესდეს, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, სკოლა-ინტერნატები, სასწავლო დაწესებულებები და ორგანიზაციები შრომის დაცვის ნომენკლატურული ღონისძიებების დაფინანსებას ახორციელებენ ძირითადი საქმიანობის ხარჯთაღრიცხვის მე-3, მე-5, და მე-18 მუხლების შესაბამისად;

შრომის დაცვის ნომენკლატურული ღონისძიებების დაფინანსება ხორციელდება შემდეგი ხარჯების ანგარიშში:

— საამქროების და საერთო საქარხნო ხარჯებიდან, საალმშენებლო ორგანიზაციებში და მშენებლობებზე, რომლის მშენებლობას ზედნადები ხარჯებიდან თვით სამეურნეო ორგანიზაცია აწარმოებს;

— საამორტიზაციო ფონდიდან, თუ ღონისძიებები ერთდროულად ტარდება ძირითადი საცხრების კაპიტალურ რემონტთან;

— სახელმწიფო ანდა არაცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებიდან, წარმოების განვითარების და წარმოების ფონდში ჩათვლით, როდესაც ეს ხარჯები წარმოადგენენ კაპიტალურს;

— საბანკო კრედიტიდან, თუ ნომენკლატურული ღონისძიებები შედის იმ კომპლექსურ ხარჯებში, რომელსაც აკრედიტებს ბანკი ახალი ტექნიკის დანერგვაზე ანდა წარმოების გაფართოებაზე.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **უშ. ობოლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეთანხმებულია

განათლების, უმაღლესი სკოლებ-სა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომ ტეტის თავმჯდომარე დ. იოსელიანი

24 ივლისი, 1971 წ.

ნაკრები ნომენკლატურა

შრომის დაცვის ღონისძიებებზე, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლა-ინტერნატების სასწავლო დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოთათვის

1. ნაკრები ნომენკლატურა წესდება იმისათვის, რომ დროულად ხდებოდეს იმ ღონისძიებების დაგეგმვა, მიზნობრივი დაფინანსება და აუცილებელი განხოციელება, რომლებიც გამორიცხავენ წარმოებასთან დაკავშირებულ უბედურ შემთხვევებს და პროფდაავადებებს, გააუმჯობესებენ შრომის პირობებს და გააძლიერებენ კონტროლს იმ სახსრების გახარჯვაზე, რომლებიც გამოყოფილია ამ მიზნებისათვის.

2. ნაკრებ ნომენკლატურაში შედის მხოლოდ ისეთი ღონისძიებები, რომელთა შესრულებაც აუმჯობესებს შრომის პირობებს.

ის ღონისძიებები, რომლებიც წარმოების აუცილებლობითაა გამოწვეული (წარმოების საერთო რაციონალიზაცია, ახალი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვა და სხვ.) და რომელთა შესრულებაც აუმჯობესებს შრომის დაცვისა და მუშაობის პირობებს, შედის ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა გეგმაში, რომელიც თან ერთვის კოლექტიურ ხელშეკრულებას.

ის ღონისძიებანი, რომლებიც მიმართულია უსაფრთხოების ტექნიკის და საწარმოო სანიტარიის მიღწეული დონის შესანარჩუნებლად, ნომენკლატურაში არ შევა.

3. შეთანხმებაში შემავალი შრომის დაცვის ნომენკლატურული ღონისძიებები ითვალისწინებს:

— ღონისძიებებს უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად;

— ღონისძიებებს წარმოებაში დაავადებების თავიდან ასაცილებლად;

— ღონისძიებებს საერთო შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის.

ღონისძიებები უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად:

ა) უსაფრთხოების წესების მოთხოვნათა შესაბამისად ტექნოლოგიური, ამწე-სატრანსპორტო და სხვა საწარმოო მოწყობილობების, აგრეთვე სხვადასხვა სამარჯვეების და ხელსაწყოების მოდერნიზაცია;

ბ) საწარმოო მოწყობილობებზე დამცველი საშუალებებისა და სამარჯვეების, ბლოკირების და დუბლირებული უსაფრთხო საშუალებების დამატებითი მოწყობა;

გ) ელექტრო უსაფრთხოების წესების შესაბამისად სატრანსპორტო დანადგარების, ელექტროგადამცემი ხაზების, ელექტროფილტრების და სხვა სისტემის აგრეგატების ავტომატური დამცველი გამომრთველი სხვადასხვა მოწყობილობების გაუმჯობესება;

დ) გამშვები ხელსაწყოების და მოწყობილობების დაყენება და გამართვა საჭირო აუცილებელი ბლოკირებით და სიგნალიზაციით სხვადასხვა ძრავების, აგრეგატების, მანქანების, დაზგების, კომპრესორების და სხვა ავტომატური ან დისტანციური მართვის მიზნით, რომ მათი სწრაფი გაჩერებით უზრუნველყოფილი იქნეს მათზე მომუშავეთა უსაფრთხოება;

ე) მოწყობილობების განლაგების ხელახალი რაციონალური დაგეგმვა, რომელიც გამოწვეულია შრომის პირობების უსაფრთხოების შემდგომი გაზრდის აუცილებლობით;

ვ) სტატისტიკური ელექტრობის, იზოლაციის წინააღმდეგობის, აფეთქების მხრივ საშიში და გაზით გაჟღენთილი გარემოს შესამოწმებელი ხელსაწყოების შეძენა. მეხთამრიდების დაყენება საველე მუშაობის პირობებში.

ზ) ავტომატური, ნახევარავტომატური და სხვა ორმხრივი შუქ-ბგერითი სიგნალების განხორციელება, რომლებიც უზრუნველ-

ყოფენ აგრეგატების, მანქანების და ტექნოლოგიურ მოწყობილობათა უსაფრთხო მუშაობის პირობებს მათი მოსახურეობის დროს, აგრეთვე ცალმხრივი სიგნალიზაციის მოწყობა გასასვლელებში, რკინიგზის ლიანდაგების გადასასვლელებზე და სხვა ადგილებში უსაფრთხოების ნიშნების დამზადება;

თ) ტექნოლოგიური პროცესებისას, ამწე-სატრანსპორტო და სხვა მოწყობილობებზე ტელეხედვის და რადიომართვის საშუალებათა დაყენება;

ი) საწარმოო შენობების დასუფთავების, ჰაერგამტარების გაწმენდის და სავენტილაციო დანადგარების გასუფთავების მექანიზმის, აგრეთვე განათების არმატურის, ფანჯრების, ფრამუგების, შუქფარების გაწმენდა-გახეხვა და მათ გასაღებად მოწყობილობების დაყენება, რომელიც გამოწვეულია აუცილებელი უსაფრთხო მუშაობის პირობების უზრუნველსაყოფად;

კ) უსაფრთხოების წესების მოთხოვნის შესაბამისად ორთქლის, წყლის, აირის, სიმჟავისა და სხვა საწარმოო კომუნიკაციების წესრიგში მოყვანა;

ლ) მომწამვლელი, ადვილადაალებადი საწვავი სითხის და აგრეთვე გაცივებული ემულსიის, მასის ჩამოსხმისა და სამუშაო ადგილებზე მიწოდების პროცესების მექანიზაცია;

მ) გადასასვლელი გვირაბების მოწყობა საწარმოს, საამქროს და უბნის ტერიტორიაზე, სადაც მუშები ხშირად დადიან.

ღონისძიებები წარმოებაში დაავადებების თავიდან ასაცილებლად

ა) მოქმედ წარმოებებში შეძენა ან დამზადება იმ მოწყობილობებისა და სამარჯვეების, რომლებიც მუშებს იცავენ ელექტროველის მოქმედებისაგან, რადიოაქტიურობის, ულტრაიისფერი, ინფრაწითელი და სხვა ჯანმრთელობისათვის საშიში გამოსხივებისაგან, აგრეთვე სამუშაო ზონის გარემოში მაღალი სიხშირის დენის, ულტრაბგერების, აირების მტვრის და სხვა მავნე ფაქტორების ზემოქმედებისაგან დამცველი დანადგარების აგება, წარმოების მავნე ნარჩენების გასანეიტრალებლად;

ბ) მაღალი ძაბვის ელექტროგადაცემის ხაზებზე და ქვესადგურებში დამატებითი მაეკრანიზებელი მოწყობილობის დადგმა სამუშაო ადგილებზე ელექტროველის ძაბვის შესამცირებლად.

გ) იმ მოწყობილობების და ტექნოლოგიური პროცესების გერმეტიზაციის გაუმჯობესება, რომლებიც დაკავშირებულნი არიან აეროზოლის, სუსპენზიის, მავნე ნივთიერებების, მტვრის, აირების, ორთქლის და ჭარბი სითბოს გამოყოფასთან;

დ) სამუშაო და დასასვენებელ ადგილებში სავენტილაციო სისტემის თბური და აირთბური ფარდების, საჰაერო შხაპების და სხვა სავენტილაციო დანადგარების ახლად მოწყობა-დადგმა ან მოქმედის რეკონსტრუქცია, თუ საწარმოო ტექნოლოგიური პროცესები უშუალოდ არ საჭიროებენ ჰაერის გასვლის ან შეცვლის ორგანიზაციას;

ე) საკონტროლო სისტემის შეძენა და დამონტაჟება, ჰაერის გარემოს მდგომარეობის გამოსარკვევად, მტვრისა და მავნე გაზების ზღვრული დასაშვები კონცენტრაციის—ზევით გაზრდის შემთხვევაში და აგრეთვე საწარმოოს სათავსოების ჰაერში ჯანმრთელობისათვის საშიში გამოსხივების არსებობის შეტყობინების სიგნალიზაციის მოსაწყობად და სხვა ანალოგიური ღონისძიებები, რომლებიც გამომდინარეობს წარმოებაში დაავადებების მიზეზების ანალიზისაგან;

ვ) საწარმოო ხმაურის და ვიბრაციის შესამცირებლად და ჩასახშობად საშუალებების მოწყობა (უხმო გადაცემა, აარავიბრაციული იარაღები, ხმაურის ჩახშობის მოწყობა და სხვა).

ღონისძიებები საერთო შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის:

ა) ბუნებრივი და ხელოვნური განათების რაციონალიზაცია (სასინათლო ფარნების, ფრამუგების ფანჯრების, მოწყობა, ლამპიონის დაყენება) სამუშაო და დამხმარე სათავსოებში და იმ ადგილებში, სადაც ხალხის ხშირი მიმოსვლაა, თუ ეს გამოწვეულია დამატებითი მოთხოვნებით შრომის პირობების გასაუმჯობესებლად;

ბ) ასპირაციული და მტვერდამჭერი დანადგარების გადაკეთება ავტომატურ მართვაზე და დაჭერილი მტვერის მოსაცილებლად საშუალებების მოწყობა;

გ) საშხაპოების, გარდერობების, პირსაბანების და საპირფარეშოების სათავსოების გადაკეთება და რეკონსტრუქცია, ქალთა ჰიგიენური, კვების მისაღები, სასმელი წყლის ასადუღებელი, გაზი-

რებული წყლის, თამბაქოს მოსაწევი, რესპირატორების, ქიმიური წმენდის, სპეცტანსაცმლისა და სპეცფეხსაცმლის შემკეთებელი სახელოსნოების, აგრეთვე საშრობის, გამტვერიანების საგნის, სპეცტანსაცმლის, სპეცფეხსაცმლის დეგაზაციისა და დეზინფექციის და სხვა სანიტარულ-საყოფაცხოვრებო სათავსოების რეკონსტრუქცია და ხელახალი მოწყობა;

დ) იატაკების დათბუნება, სანიტარულ-საყოფაცხოვრებო სათავსოებიდან საწარმოს შენობამდე გადასასვლელების და სხვა ადგილების გათბობისათვის დანადგარების მოწყობა;

ე) მუშებისათვის, განსაკუთრებით ცხელ საამქროებში, აგრეთვე ღია ცის ქვეშ მომუშავეებისათვის, მზის სხივებისაგან და ატმოსფერული ნალექებისაგან თავის დასაცავად სხვადასხვა თავშესაფრების მოწყობა და რეკონსტრუქციის ჩატარება;

ვ) გაზიანი სასმელი წყლის მოსამზადებლად დანადგარების (მათ შორის ავტომატურის) შეძენა და დამონტაჟება. სამუშაო ადგილებზე სასმელი და გაზიანი წყლის, ჩაის, ცილოვანი ვიტამინების და სხვა სასმელების ცენტრალიზებული მიწოდების მოწყობა;

გ) შრომის დაცვის კაბინეტების, კუთხეების და მოძრავი გამოფენების მოწყობა მათთვის აუცილებელი მოწყობილობის, თვალსაჩინოების, სადემონსტრაციო აპარატის და ა. შ. შეძენა. უსაფრთხოების ტექნიკის და საწარმოო სანიტარიის ინსტრუქციების გამოცემა;

თ) საამქროებში იმ ადგილების სათანადო მოწყობა, რომლებიც გამოყოფილია საწარმოო ტანვარჯიშის ჩასატარებლად. ტანვარჯიშისათვის საჭირო აუცილებელი ინვენტარის შეძენა, საწარმოო ტანვარჯიშის და ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის ჩატარებისათვის, ინსტრუქტორ მეთოდისტის შრომის ანაზღაურება.

კრებსითი ნომენკლატურაში არ შეიტანება:

ა) მხატვრული კონსტრუირება, რომელიც თავისი შინაარსით მოწყობილობების გაუმჯობესების საშუალებაა;

ბ) კედლების, იატაკის, კონსტრუქციის და მოწყობილობების ფერადი შეღებვა, როგორც შენობების, ნაგებობების და მოწყობილობების შენახვის ერთ-ერთი ელემენტი;

გ) წარმოების ტერიტორიის კეთილმოწყობა, სავალი გზების და ბილიკების მოასფალტება, ტერიტორიის გამწვანება;

დ) ღონისძიებები, რომლებიც გათვალისწინებულია ჰაერისა და წყლის აუზების დაჭუჭყიანების შესამცირებლად ან მოსასპობად, რომლის ძირითადი მიზანია შექმნას ნორმალური სანიტარული პირობები იმ რაიონების მცხოვრებთათვის, რომელთა ბინები განლაგებულია წარმოების მახლობლად;

ე) დანადგარების, მანქანების, დაზგების, ხვრელების, ორმოების, თხრილების, სხვადასხვა ღობურების და დამცავი სამარჯვეების შეკეთებაზე და მიმდინარე შეკეთებაზე გაწეული ხარჯები, აგრეთვე სავენტილაციო დანადგარების და სანიტარულ-საყოფაცხოვრებო საშუალებების (შხაპების, აირსაბანის და სხვა) მიმდინარე შეკეთებაზე გაწეული ხარჯები;

ვ) სპეცტანსაცმლის, სპეცფეხსაცმლის, სპეცრძის, სპეცსაპნის, ინდივიდუალური დამცავი სამარჯვების შეძენაზე და სამკურნალო-პროფილაქტიკურ კვებაზე გაწეული ხარჯები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ა ნ ა რ თ ი № 2

საქართველოს სსრ განათლების
სამინისტროს № 424 ბრძანებისა
30 ივლისი, 1971 წელი

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და სამრეწველო სანიტარიის ღონისძიებების გატარებაზე 19_____ წელში

_____
(სასწავლო დაწესებულების, სკოლის, ორგანიზაციის დასახელება)

19_____ წ. „_____" „_____" ქვემოთ ხელის მომწერებმა:

_____
(სასწავლო დაწესებულების, სკოლის, ორგანიზაციის დასახელება),

დირექტორმა ამხ. _____
(გვარი, სახელი და მამის სახელი)

და _____ პროფკავშირის ადგილობრივი
(პროფორგანიზაციის დასახელება)

კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. _____
(გვარი, სახელი და მამის სახელი)

დავდეთ ეს შეთანხმება მასზედ, რომ _____
(სასწავლო დაწესებულების, სკოლის,

_____
ორგანიზაციის დასახელება)

ივალდებულეს 19_____ სასწავლო წელს შეასრულოს შემდეგი ღონისძიებები:

№№	ღონისძიებათა დასახელება	ღონისძიებათა ღირებულება სახსრების ხარჯვაზე		ღონისძიებათა გატარების ვადები	პასუხისმგებელი ღონისძიებათა გატარებაზე	შენიშვნა
		კაპიტალურ-ლობის	ექსპლოატაციის			

დირექტორი: პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტის თავმჯდომარე:

დ ა ნ ა რ თ ი: პროფკავშირის ადგილკომის სხდომის ოქმის ასლი შეთანხმების განხილვის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ა ნ ა რ თ ი № 3

საქართველოს სსრ განათლების
სამინისტროს № 424 ბრძანებისა
30 ივლისი, 1971 წელი

ა ქ ტ ი

შეთანხმების შესრულების შემოწმების შესახებ

19_____ წ. „_____" „_____" პროფკავშირის
(პროფორგანიზაციის დასახელება)

ადგილობრივი კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. _____
(გვარი, სახელი და მამის სახელი)

და _____
(სასწავლო დაწესებულების, სკოლის, ორგანიზაციის დასახელება)

დირექტორმა ამხ. _____
(გვარი, სახელი და მამის სახელი)

შევამოწმეთ შეთანხმებით გათვალისწინებული შრომის გამაჯანსაღებელი პირობების შესრულება 19_____ წელში _____

_____ სკოლაში _____

№№	შეთანხმებით გათვალისწინებული ღონისძიებების დასახელება	რომელი ღონისძიებებია შესრულებული	შეთანხმებით ასიგნებული სახსრების ხარჯზე		ფაქტიურად დახარჯულია სახსრების ხარჯვაზე		სამუშაო შესრულების შეფასების ხარისხი და ღონისძიებების ჩატარების ეფექტიანობა	ღონისძიებების შეუსრულებლობის მიზეზი
			კაპ. მშენებლობ.	ექსპლოატაციის	კაპ. მშენ.	ექსპლოატაციის		

პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტის თავმჯდომარე: დირექტორი:

დ ა ნ ა რ თ ი: მთ. ბუღალტერის ცნობა შეთანხმებით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულებაზე ასიგნებული თანხების ფაქტიურ ხარჯვაზე დანიშნულებისამებრ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია:
სსრ კავშირის განათლების
სამინისტროს მიერ

შეთანხმებულია:
საკავშირო ალკკ
ცენტრალურ კომიტეტთან

შეთანხმებულია:
სსრ კავშირის სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის
ცენტრალური საბჭოს
პრეზიდიუმთან

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ფიზიკური კულტურის კოლექტივის დებულება

საერთო დებულებანი

ფიზიკური კულტურის სასკოლო კოლექტივი---მოსწავლეთა თვითმოქმედი ნებაყოფლობითი ორგანიზაციაა, რომელიც მოწოდებულია ყოველმხრივ განავითაროს ფიზიკური კულტურა, სპორტი და ტურიზმი სკოლაში. ფიზიკური კულტურის კოლექტივის ძირითადი მიზანია ხელი შეუწყოს სკოლასა და ოჯახს კომუნიზმის მშენებელთა მორალური კოდექსის მოთხოვნათა სულისკვეთებით მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდას.

სასკოლო ფიზიკური კულტურის კოლექტივის ამოცანები: ჩააბას მოსწავლეები ფიზიკურ კულტურაში, სპორტსა და ტურიზმში სამეცადინოდ; გააღრმაოს მოსწავლეთა მიერ ფიზიკური კულტურის გაკვეთილებზე მიღებული უნარ-ჩვევები და ამის საფუძველზე ხელი შეუწყოს ფიზიკურ თვისებათა ფორმირებას, რომელიც აუცილებელია ცხოვრებაში შრომასა და სამშობლოს დაცვისათვის;

— ხელი შეუწყოს მოსწავლეთა შორის სამხედრო-გამოყენებით ცოდნისა და უნარ-ჩვევების ფორმირებას;

— აღზარდოს მოსწავლეებში საზოგადოებრივი აქტივობა და შრომისმოყვარეობა, განუვითაროს ინიციატივა, შემოქმედებითობა და ორგანიზატორული უნარ-ჩვევები.

სასკოლო ფიზიკური კულტურის კოლექტივის მუშაობის ორგანიზაციისათვის საერთო პასუხისმგებლობა ეკისრება სკოლის დირექტორს, ხოლო ორგანიზაციული და მეთოდური ხელმძღვანელობა ფიზიკური კულტურის მასწავლებელს. ფიზიკური კულტურის კოლექტივის მუშაობაზე უშუალო ხელმძღვანელობას ახორციელებს კოლექტივის საბჭო.

კოლექტივის მუშაობის ორგანიზაცია და შინაარსი

ფიზიკური კულტურის კოლექტივი ყალიბდება დაწყებით, რვაწლიან, საშუალო სკოლებში, სკოლა-ინტერნატებსა და გახანგრძლივებული დღის სკოლებში.

შენიშვნა: დაწყებით სკოლებში ახლომდებარე რვაწლიანი და საშუალო სკოლების ფიზკულტურული აქტივის დახმარებით ეწყობა ფიზიკური კულტურის წრეები, რვაწლიანი და საშუალო სკოლების ფიზიკური კულტურის კოლექტივები ეხმარებიან დაწყებით სკოლებს სპორტული მოედნების მოწყობაში, მარტივი სახის სპორტული ინვენტარის დამზადებასა და ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ორგანიზაციაში.

ფიზიკური კულტურის კოლექტივი ჩამოყალიბებულად ითვლება თუ მასში ირიცხება არანაკლები 25 მოსწავლე. ფიზიკური კულტურის კოლექტივს, რომელმაც სპორტულ-მასობრივ მუშაობაში მაღალი მაჩვენებლები მოიპოვა, შეიძლება მიენიჭოს „სპორტული კლუბის“ სახელი.

სასკოლო ფიზიკური კულტურის კოლექტივი (სპორტული კლუბი) საჯლმმართველობებთან, ეზოებსა და საცხოვრებელ კვარტალებში აყალიბებს თავის ფილიალებს, სექციებსა და გუნდებს. სასკოლო ფიზიკური კულტურის კოლექტივის (სპორტული კლუბის) საქმიანობა ტარდება სკოლის კომკაკშირული და პიონერული ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით, მოსწავლეთა ფართო ინიციატივისა და თვითმოქმედების საფუძველზე.

ფიზიკური კულტურის კოლექტივი (სპორტული კლუბი) სკოლის მე-4-10 კლ. მოსწავლეთათვის აყალიბებს მუდმივმოქმედ სპორტული სექციებისა და საერთო ფიზიკური მომზადების ჯგუფებს;

— ატარებს შინასასკოლო და შინასაკლასო შეჯიბრებებს,— ამხანაგურ სპორტულ შეხვედრებს ქალაქის (რაიონის) სხვა სკოლებთან;

— მონაწილეობას იღებს სახალხო განათლების ორგანოების, სპორტული, კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების მიერ მოწყობილ შეჯიბრებებში;

— ორგანიზაციას უკეთებს იმშთ, მშთ,—„მზად ვარ სამშობლოს დასაცავად“ ნიშნის ნორმებზე ჩაბარებას და სპორტსმენთანრიგოსანთა მომზადებას;

— ატარებს ფიზკულტურულ დღესასწაულებს, სკოლის, რაიონის, ქალაქის წამყვან სპორტმსმენთა საჩვენებელ გამოსვლებს;

— ორგანიზაციას უკეთებს ტურისტულ ლაშქრობებსა და ადგილმდებარეობაზე თამაშების ჩატარებას;

— ამზადებს ნორჩ საზოგადოებრივ ინსტრუქტორებსა და მსაჯებს სპორტის სახეობათა მიხედვით;

— დახმარებას უწევს სახლმმართველობებს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ბავშვთა და მოზარდთა შორის სპორტული მუშაობის ორგანიზაციასა და ჩატარებაში;

— მონაწილეობას იღებს (ზამთრისა და ზაფხულის არდადეგების პერიოდში) სპორტულ-გამაჯანსაღებელი და სამხედრო-სპორტული ბანაკების ორგანიზაციაში;

— სკოლაში ატარებს ფიზიკური კულტურისა და სპორტის ფართო აგიტაციას;

— განამტკიცებს სკოლის სასწავლო-მატერიალურ ბაზას (სპორტული მოედნის მოწყობა და მისი მოვლა, მარტივი ტიპის სპორტული ინვენტარის შეკეთება-დამზადება).

მუშაობის ორგანიზაცია კოლექტივში

ფიზიკური კულტურის კოლექტივის საერთო პედაგოგიურ ხელმძღვანელობას ახორციელებს სკოლის დირექტორი. ფიზიკური კულტურის კოლექტივი ყოველწლიურად სასწავლო წლის დასაწყისში კლასების წარმომადგენელთა კრებაზე ირჩევს საბჭოს

5—15 მოსწავლის შემადგენლობით. საბჭოს შემადგენლობაში ასარჩევად გათვალისწინებულ უნდა იქნენ პიონერული ორგანიზაციისა და ალკკ კომიტეტის წარმომადგენლები. კოლექტივის საბჭო თავის შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარესა და მდივანს. საბჭოს წევრთა შორის ნაწილდება მოვალეობანი: სპორტულ-მასობრივი პროპაგანდისტული, საზოგადოებრივი ინსტრუქტორებისა და მსაჯების მომზადების. სამეურნეო და სხვ. კომისიების მუშაობაზე ხელმძღვანელობისათვის.

კოლექტივის საბჭოს სპორტულ-მასობრივი კომისია ითვლება ყველა შინასასკოლო შეჯიბრების ორგანიზატორად, იგი პასუხისმგებელია სპორტულ სექციებსა და საერთო ფიზიკური მომზადების ჯგუფებში სისტემატური მეცადინეობის ჩატარებისათვის, აკომპლექტებს ნაკრებ გუნდებს სასკოლათაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობისათვის და დასამტკიცებლად წარუდგენს ფიზიკური კულტურის კოლექტივის საბჭოს. ინახავს შეჯიბრებების ოქმებს, აფორმებს სკოლის რეკორდებს, აწარმოებს მოსწავლეების მიერ სპორტული თანრიგების იმშთ, მშთ და „მზად ვარ სამშრომლოს დასაცავად“ ნიშნის ნორმებზე ჩაბარების აღრიცხვას.

პროპაგანდის კომისია—ეწევა ფიზიკური კულტურისა და სპორტის, ტურიზმის, მშთ, იმშთ და „მზად ვარ სამშრომლოს დასაცავად“ ნიშნის კომპლექსების პროპაგანდას, რისთვისაც ფართოდ იყენებს ბეჭდვით სიტყვას, რადიო , პლაკატებს, ლექციებს, სპორტულ დღესასწაულებს, სპორტსმენების საჩვენებელ გამოსვლებს, აწყობს ფიზიკური კულტურის კუთხეებს (მუზეუმებს), ფოტოვიტრინებს, გამოფენებს, სტენდებს და სხვა.

საზოგადოებრივი ინსტრუქტორებისა და მსაჯების მომზადების კომისია—ატარებს სემინარებს, მომზადებულ საზოგადოებრივ ინსტრუქტორებს იზიდავს ფიზიკურ კულტურასა და სპორტში აქტიური მუშაობისათვის კლასებში, საერთო სასკოლო ღონისძიებებში, ბანაკებსა და საცხოვრებელი ადგილების მიხედვით.

სამეურნეო კომისია მონაწილეობს სპორტულ ნაგებობათა კეთილმოწყობაში, უზრუნველყოფს სპორტული იარაღებისა და ინვენტარის საიმედო მოვლა-პატრონობას. კოლექტივის საბჭოს დანარჩენი კომისიები მუშაობენ თავიანთი დანიშნულების მიხედვით. კოლექტივის საბჭო თავის მუშაობას წარმართავს სკოლის კომკავშირულ და პიონერულ ორგანიზაციებთან შეთანხმებული გეგმის მიხედვით. ფიზკულტურის კოლექტივის საბჭო წლიურად

F 3575

ერთხელ ანგარიშს აბარებს კლასების წარმომადგენელთა კონფერენციას. საბჭო მუშაობას ატარებს ფიზორგების აქტიური დახმარებით, რომლებიც კლასებში ითვლებიან ფიზკულტურულ ლონისძიებათა უშუალო ორგანიზატორებად.

ფიზორგების მოვალეობაა: ფიზიკური კულტურის კოლექტივში ჩააცას თავისი კლასის ყველა მოსწავლე, ორგანიზაცია გაუკეთოს თავისი კლასის მოსწავლეების სპორტულ-გამაჯანსაღებელ ლონისძიებების ჩატარებას, დაეხმაროს მასწავლებელს გაკვეთილებზე ფიზკულტურული წუთებისა და დასვენებების დროს მოძრავი თამაშობებისა და გართობების ორგანიზაციასა და ჩატარებაში.

ფიზორგი მთელ მუშაობას ატარებს კლასის პიონერული რაზმის საბჭოს თავმჯდომარესთან (კომორგთან) მჭიდრო კონტაქტში და წელიწადში ორჯერ ანგარიშს აბარებს კოლექტივის საბჭოს და თავიანთი კლასის მოსწავლეებს.

კოლექტივის საბჭო ფიზორგების დასახმარებლად რეგულარულად აწყობს სემინარებს, ოომელსაც ატარებს ფიზიკური კულტურის მასწავლებელი ან უფროსი კლასების საუკეთესო სპორტსმენი აქტივისტი. სპორტული სექციებისა და საერთო ფიზიკური მომზადების ჯგუფებში მეცადინეობას ატარებენ ფიზიკური კულტურის მასწავლებლები, სახოკადოებრივი - ინსტრუქტორები უფროსი კლასების მოსწავლეთა რიცხვიდან, შეფი ორგანიზაციების სახოგადოებრივი მწრთვნელები და აგრეთვე სკოლის ზოგადსაგანმანათლებლო დისციპლინების მასწავლებლები და მოსწავლეთა მშობლები. მეცადინეობათა საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებენ ფიზიკური კულტურის მასწავლებლები.

სპორტულ სექციებსა და საერთო ფიზიკური მომზადების ჯგუფებში მეცადინეობა ტარდება კვირაში არანაკლებ ორისა. სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული ცხრილის შესაბამისად და სსრ კავშირის სპორტულ სახოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს მიერ გამოცემული პროგრამების მიხედვით. საერთო ფიზიკური მომზადების ჯგუფებში მეცადინეობის ხანგრძლიობა 45-60 წუთია, სპორტულ სექციებში— 60-90 წუთი.

კოლექტივის საბჭოს უფლებები

კოლექტივის საბჭოს უფლება აქვს:

— მიაჩიჭოს წოდება და დააჯილდოოს „სპორტ ს ნორჩი ინსტრუქტორის", „სპორტის ნოორჩი მსაჯის" შესაბამისი ნიშნებით;

— დააჯილდოოს „სპორტის ნორჩი აქტივისტ-ს“ ნიშნით;

— რჩევა-დარიგება და რეკომენდაცია მისცეს ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლაში შემსვლელ მოსწავლეებს;

— მოწინავე აქტივისტები, ფიზკულტურელები და სპორტსმენები წარადგინოს წასახალისებლად და დასაჯილდოებლად სკოლის დირექციასა და ზემდგომ ფიზკულტურულ ორგანიზაციებში;

— შეიტანოს ფიზიკური კულტურის კოლექტივის საპატიო წიგნში „სკოლის ღირსებისათვის“.

სასკოლო ფიზიკური კულტურის კოლექტივის იმ წევრების მიმართ, რომლებიც დაარღვევენ დისციპლინას, შეუფერებლად მოიქცევიან საზოგადოებრივ ადგილებში, სახლში, ამხანაგებთან, შეჯიბრების დროს—ფიზიკური კულტურის კოლექტივის საბჭო მიიღებს სხვადასხვა სახის აღმზრდელობით ზომებს (სპორტულ სექციაში, ჯგუფში მეცადინეობიდან დროებით ჩამოშორება, შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლების ჩამორთმევა, სკოლის ნაკრები გუნდის შემადგენლობიდან გაყვანა და ა. შ.).

ფიზიკური კულტურის კოლექტივის წევრთა მოვალეობანი

კოლექტივის წევრები ვალდებული არიან:

— ფიზიკურ კულტურასა და სპორტში რეგულარული მეცადინეობა შეუხამონ სკოლაში წარმატებით სწავლას;

— ასაკის შესაბამისად ჩააბარონ იმუთ, მუთ, „მზად ვარ სამშობლოს დასაცავად“, ნიშნის ნორმებზე და სპორტული თანრიგის ნორმატივები;

— აქტიური მონაწილეობა მიიღონ სკოლის ყველა სპორტულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში;

— ზუსტად შეასრულონ სკოლის ექიმის მითითებანი თვით კონტროლსა და ჰიგიენის წესების დაცვის შესახებ;

— აქტიური მონაწილეობა მიიღონ სკოლის სპორტული ბაზის განმტკიცებაში.

კოლექტივის წევრებს უფლება აქვთ:—იმეცადინონ სპორტულ სექციებში, საერთო ფიზიკური მომზადების ჯგუფებში და მონაწილეობა მიიღონ შეჯიბრებებში;

— აირჩიონ და არჩეულ იქნენ ფიზიკური კულტურის კოლექტივის ორგანოებში;

— ისარგებლონ სკოლის სპორტული მოწყობილობებით, ინვენტარითა და ფორმით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საექიმო კონტროლი

ფიზიკური კულტურის კოლექტივში ტარდება სისტემატური საექიმო კონტროლი მომეცადინეთა ჯანმრთელობაზე და სანიტარული მეთვალყურეობა სამეცადინო ადგილებზე. სკოლის ექიმი მოსწავლეთა შორის და აგრეთვე მშობლებთან ატარებს საგანმანათლებლო მუშაობას ფიზიკური კულტურის, პირადი ჰიგიენისა და მოსწავლეთა რეჟიმის მნიშვნელობის შესახებ. ყოველ მოსწავლეს, რომელსაც კოლექტივში შესვლის სურვილი აქვს, ვალდებულია წინასწარ გაიაროს სამედიცინო შემოწმება და მიიღოს ნებართვა არჩეულ სპორტულ ან საერთო ფიზიკური მომზადების ჯგუფში მეცადინეობისათვის. კოლექტივის სპორტულ სექციებში მომეცადინე მოსწავლეთა პერიოდული საექიმო შემოწმება უნდა ჩატარდეს წელიწადში არანაკლებ ორისა.

სარაიონო და საქალაქო შეჯიბრებების წინ სასკოლო გუნდების ყველა მონაწილემ სავალდებულო წესით უნდა გაიაროს დამატებითი სამედიცინო შემოწმება.

შინასასკოლო სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ჩატარების დროს აუცილებელია ექიმისა და ექთანის დასწრება.

სპორტული ფორმა

სასკოლო ფიზიკური კულტურის კოლექტივს უნდა ჰქონდეს კოლექტივის საბჭოს მიერ დამტკიცებული საკუთარი სპორტული ფორმა.

აღრიცხვა და ანგარიშგება

ფიზიკური კულტურის კოლექტივში აღრიცხვა-ანგარიშგება ტარდება თანდართული აუცილებელი დოკუმენტაციის შესაბამისად, რომელიც გათვალისწინებულია ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო და რვაწლიანი სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და გახანგრძლივებული დღის სკოლების ფიზიკური კულტურის კოლექტივებისათვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წ. 23 აგვისტოს ბრძანება № 463

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებელთა მეთოდური მუშაობის შესახებ

მასწავლებელთა შორის მეთოდური მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დამტკიცდეს ინსტრუქციულ-მეთოდური წერილი „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებელთა მეთოდური მუშაობის შესახებ", თანახმად დანართისა.

2. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა მასწავლებელთა მეთოდური მუშაობის ორგანიზაციისა და ჩატარებისას იხელმძღვანელონ აღნიშნული ინსტრუქციულ-მეთოდური წერილით, ამავე დროს ყოველმხრივ წაახალისონ სკოლებისა და მასწავლებელთა მეთოდური გაერთიანებების ინიციატივა ამ მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებაში ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მიერ 1961 წლის 20 ივნისის № 429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციულ-მეთოდური წერილი „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებელთა მეთოდური მუშაობის შესახებ".

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე უშ. ობოლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ა ნ ა რ თ ი

1971 წლის 23 ივლისის № 463 ბრძანებისა

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებელთა მეთოდური მუშაობის შესახებ

(ინსტრუქციულ-მეთოდური წერილი)

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა შორის მეთოდური მუშაობა, როგორც მათი მეცნიერულ-თეორიული მომზადებისა და მეთოდიკური დახელოვნების ეფექტური გზა, უნდა იყოს მრავალმხრივი თავისი შინაარსით და მოქნილი თავისი ფორმით, იგი ხელს უნდა უწყობდეს მასწავლებლებისა და პედაგოგიური კოლექტივების ინიციატივის განვითარებას, უნდა ემყარებოდეს პედაგოგიკურ მეცნიერებათა მიღწევებისა და მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების გახზოგადებასა და დანერგვას მასწავლებელთა პრაქტიკულ მუშაობაში.

მეთოდური მუშაობა მასწავლებლობასთან თვითმიზანი კი არ არის, არამედ საშუალებაა სკოლის მთელი საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისა და მასწავლებლობის მომზადებისათვის იმ ახალი ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად, რაც საბჭოთა სკოლის წინაშეა დასმული. ამიტომ მასწავლებლებთან მეთოდური მუშაობის ხარისხზე უნდა ვიმსჯელოთ არა ჩატარებული მეცადინეობების, სემინარების, სხდომებისა და ა. შ. რაოდენობის მიხედვით, არამედ მათი შედეგების მიხედვით, ე. ი. სკოლაში, მოსწავლე ახალგაზრდობის სწავლებისა და აღზრდის დონის მიხედვით.

I. მეთოდური მუშაობის შინაარსი და ფორმები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასწავლებლების საერთო მომზადებისა და პედაგოგიური დახელოვნების დონის ამაღლებისათვის ჩატარებულმა მეთოდურმა მუშაობამ უნდა უზრუნველყოს მათი იდეურ-პოლიტიკური დონის განუწყვეტელი ამაღლება, სპეციალობაში მეცნიერულ-თეორიული მომზადება, პედაგოგიური და მეთოდური დაოსტატება.

2. მასწავლებლის თეორიული მომზადების ამაღლება მოითხოვს პირველ რიგში მისი მარქსისტულ-ლენინური მომზადების დონის განუწყვეტელ სრულყოფას.

ამასთან დაკავშირებით მეთოდური მუშაობა მასწავლებელთა შორის უნდა ტარდებოდეს მარქსისტულ-ლენინური თეორიის ცალკეული პრობლემისა და მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შრომების, ჩვენი პარტიის ყრილობებისა და ცკ-ის პლენუმების გადაწყვეტილებების შესახებ ლექცია-მოხსენებების სახით, მაგრამ იმგვარად, რომ ამ ლექციებსა და მოხსენებებში ასახვა ჰპოვოს განსახილველი პრობლემების პედაგოგიურმა მნიშვნელობამაც, ფართოდ უნდა დაინერგოს პრაქტიკაში მასწავლებელთა თეორიული კონფერენციები და რეფერატები. მთელ მუშაობას მარქსისტულ-ლენინური მომზადების დონის ასამაღლებლად ატარებენ სკოლის ხელმძღვანელები და სახალხო განათლების ორგანოები, პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით.

3. მეთოდურ მუშაობაში არანაკლებ მნიშვნელოვანია ყოველი მასწავლებლის მეცნიერულ-თეორიული მომზადების ამაღლება მისი სპეციალობის მიხედვით.

მასწავლებლის მომზადება სკოლაში წარმატებით მუშაობისათვის მოითხოვს, რომ მას განუწყვეტლივ ვაცნობდეთ უახლეს მეცნიერულ მიღწევებს, ტექნიკურ გამოგონებებს, ვაძლევდეთ ორიენტაციას იმ საკითხებში, რომლებსაც ამჟამად მეცნიერება ამუშავებს ან სადისკუსიოა.

მასწავლებელთა ამგვარი მომზადება განხორციელდება, უპირველეს ყოვლისა, თითოეული მასწავლებლის განუწყვეტელი დამოუკიდებელი მუშაობით სამეცნიერო-პოპულარულ ლიტერატურაზე და თავის სპეციალობაში სამეცნიერო ჟურნალების რეგულარული კითხვით. ამავე დროს მეცნიერული მომზადების დონის ამაღლებაში მასწავლებელს დახმარება უნდა გაუწიოს სკოლის ხელმძღვა-

ნელობამ, პედაგოგიურმა კაბინეტებმა და მასწავლებელთა მეთოდურმა ორგანიზაციებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ მიზნით სკოლებში, პედაგოგიურ კაბინეტებში, საგნობრივ-მეთოდურ გაერთიანებებში, დაწყებითი კლასების მასწავლებელთა გაერთიანებებში მიხანშეწონილია სისტემატურად ეწყობოდეს ახალი მეცნიერული ლიტერატურის საჟურნალო სტატიების მიმოხილვები. ეწყობოდეს ასეთი ლიტერატურის გამოფენები; იხილებოდეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წიგნები და სამეცნიერო სტატიები.

საგნობრივ-მეთოდური გაერთიანებების მუშაობის შინაარსში გათვალისწინებული უნდა იყოს ლექციების კითხვა, მოხსენების მოსმენა განსაკუთრებით აქტუალურ სამეცნიერო პრობლემებზე, ცალკეულ სადისკუსიო საკითხებზე .დისპუტების მოწყობა, რაც უმთავრესად უნდა განხორციელდეს სამეცნიერო ჟურნალებსა და გაზეთებში გამოქვეყნებული სადისკუსიო სტატიების განხილვის ფორმით.

4. სკოლის მუშაობის გარდაქმნა, ცხოვრებასთან და კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან მისი კავშირის გაძლიერება მასწავლებლისაგან მოითხოვს თვით საგნის, მისი სწავლების მეთოდებისა და ხერხების წარმატებით დაუფლებას.

აუცილებელია სათანადო მეცნიერულ, პედაგოგიურ და მეთოდურ ლიტერატურაზე მასწავლებელთა დამოუკიდებელი მუშაობის მოფიქრებული სისტემა, რომელიც ორგანიზებული იქნება პედაგოგიური კაბინეტების, საგნობრივი მეთოდური გაერთიანებებისა და სკოლის ხელმძღვანელობის რეკომენდაციების საფუძველზე.

5. აუცილებელია თიოოეული მასწავლებლის სისტემატური მუშაობა უახლეს პედაგოგიურ ლიტერატურაზე, საბჭოთა პედაგოგიკის კლასიკოსთა შრომებსა და საზღვარგარეთის პროგრესიული პედაგოგების ნაწარმოებებზე.

ამ მიზნით სკოლებისა და მეთოდურ გაერთიანებებში მასწავლებელთათვის მოწყობილ ლექციებსა და მოხსენებებში გადმოცემული და განმარტებული უნდა იყოს საბჭოთა პედაგოგიური მეცნიერების ისეთი დებულებანი, რომლებიც განსაზღვრავს მეცნიერულ-პედაგოგიურ მიდგომას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. სასარგებლოა პერიოდულ პედაგოგიურ პრესაში გამოქვეყნებული სადისკუსიო მასალე-

ბის შემოქმედებითი განხილვა, მასწავლებელთა ჩაბმა რეფერატების დამუშავებაში განსაკუთრებით აქტუალურ პედაგოგიურ თემებზე. პედაგოგიურ საკითხებზე ლექციების, მოხსენებების, რეფერატების თემატიკის განსაზღვრა უნდა განხორციელდეს სწავლებისა და აღზრდის იმ გადაუჭრელი საკითხების გათვალისწინებით, რომლებსაც ხვდებიან მასწავლებლები ყოველდღიურ მუშაობაში და რომელთა გადაწყვეტა განსაკუთრებულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული.

მასწავლებლებთან ამ მუშაობისათვის განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა უნდა მიიზიდონ პედაგოგიური ინსტიტუტების კათედრების მეცნიერი თანამშრომლები, გამოცდილი მასწავლებლები და სახალხო განათლების მუშაკები.

6. მეთოდური მუშაობის უმნიშვნელოვანეს უბანს წარმოადგენს მასწავლებელთა შეიარაღება უკვე დადგენილი და პედაგოგიური პრაქტიკით შემოწმებული სწავლებისა და აღზრდის პროგრესული მეთოდებითა და ხერხებით.

თანამედროვე პირობებში დიდი ყურადღება ეთმობა საგანთა შორის კავშირის დამყარებას, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ყოველმხრივ მომზადებას, მიზანმიმართული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისა და გაცნობიერებულ პრაქტიკულ ჩვევათა გამომუშავებას, ამიტომ მეთოდური მუშაობის შინაარსში უნდა შედიოდეს საგანთა შორის კავშირის დამყარების გზებისა და საშუალებების განსაზღვრა. ამ ამოცანის გადაწყვეტაში დიდი როლი უნდა შეასრულოს მასწავლებელთა სასკოლო და სასკოლათაშორისო გაერთიანებებმა, რამაც ფართო გავრცელება ჰპოვა უკანასკნელ დროს სკოლებისა და სახალხო განათლების განყოფილებების მუშაობის პრაქტიკაში. მასწავლებელთა პრაქტიკული მომზადების გაუმჯობესების მიზნით (პრაქტიკული, ლაბორატორიული, გაზომვითი სამუშაოების, ცდების, ექსკურსიებისა და ა. შ. ჩატარების მეთოდიკის დაუფლება) განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პრაქტიკუმების ჩატარებას, აგრეთვე სემინარულ მეცადინეობებს, რომელთა მსვლელობაში მასწავლებელთა მიერ ამა თუ იმ მეთოდური ხერხის თეორიული გაცნობა შერწყმულია შესაბამის პრაქტიკულ სამუშაოთა შესრულებასთან.

7. მეთოდური მუშაობის ერთ-ერთ უაღრესად აქტუალური ამოცანას წარმოადგენს დაწყებითი კლასების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება.

ამ მასწავლებლებთან მეთოდური მუშაობის შინაარსი და ფორმები შერჩეულ უნდა იქნეს დაწყებითი განათლების სპეციფიკის გათვალისწინებით, რათა მათ, უპირველეს ყოვლისა, მოამზადონ დაწყებითი კლასების მასწავლებლები ახალი პროგრამების წარმატებით შესრულებისათვის. მცირეკომპლექტიანი სკოლების მასწავლებლებთან მუშაობისას აუცილებელია მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილებაზე დაყრდნობით ვუჩვენოთ სწავლების სხვადასხვა მეთოდის გამოყენების სპეციფიკა ერთდროულად რამდენიმე კლასთან მუშაობის პირობებში.

8. მეთოდური მუშაობის სისტემაში საპატიო ადგილი უნდა დაიჭიროს კლასის ხელმძღვანელებთან მუშაობამ.

აუცილებელია გავითვალისწინოთ მათთვის აღმზრდელობით ღონისძიებათა ახალი ფორმებისა და მეთოდების გაცნობა, რაც გამომდინარეობს „დებულებიდან კლასის ხელმძღვანელის შესახებ", „სკოლის სააღმზრდელო მუშაობის სანიმუშო პროგრამიდან" და სკოლის, საწარმო (კოლმეურნეობის და საბჭოთა მეურნეობის) კომკავშირული ორგანიზაციის ერთობლივი სააღმზრდელო მუშაობის ორგანიზაციის საჭიროებიდან, პიონერთა ორგანიზაციის ინიციატივისა და თვითმოქმედების განვითარების აუცილებლობიდან.

II. მეთოდური მუშაობის ორგანიზაცია

მეთოდური მუშაობის ორგანიზაცია უნდა იყოს მაქსიმალურად მოქნილი. იგი უნდა შეირჩეს ყოველი რაიონის, ქალაქის, სკოლის მასწავლებელთა მუშაობის პირობების გათვალისწინებით, აძლევდეს ყოველ მასწავლებელს შესაძლებლობას სრულყოს თავისი მომზადება იმ მიმართულებით, რომელიც მისთვის ყველაზე მიზანშეწონილია.

9. მასწავლებელთა თეორიული, პედაგოგიური და მეთოდური მომზადების სრულყოფის ძირითადი ორგანიზაციული ფორმა უნდა იყოს მათი დამოუკიდებელი მუშაობა.

იგი პირველ რიგში უნდა გამოიხატოს პოლიტიკურ, სამეცნიერო-პედაგოგიურ და მეთოდურ ლიტერატურაზე მასწავლებელთა სისტემატური, დამოუკიდებელი მუშაობით, მასწავლებლის

დამოუკიდებელი მეთოდური მუშაობა უნდა განხორციელდეს ინდივიდუალური გეგმით. ასეთი გეგმა მუშავდება მასწავლებლის იდეურ მეცნიერული და პედაგოგიურ მეთოდური დახელოვნების დონისა და მისი ინტერესებისა და მიდრეკილებების შესაბამისად. სკოლის ხელმძღვანელები და მეთოდურ გაერთიანებათა ხელმძღვანელები ეხმარებიან მასწავლებელს დამოუკიდებელი მუშაობისათვის თემატიკის შერჩევაში, ამასთან ითვალისწინებენ ინდივიდუალურ ნაკლოვანებებს მათ მოამზადებაში, მაგრამ არავითარ შემთხვევაში თავზე არ ახვევენ თავიანთ ნებას, არ ახდენენ მასწავლებლის დამოუკიდებელი მუშაობის რეგლამენტირებას. სკოლისა და მეთოდურ გაერთიანებათა ხელმძღვანელები ეხმარებიან მასწავლებლებს, უპირველეს ყოვლისა, საჭირო ლიტერატურის შერჩევით, კონსულტაციების, სადირექტივო და მიმოხილვითი ლექციების ჩატარებით და ცალკეულ საკითხებზე გასაუბრებით ამასთანავე ისინი ახორციელებენ მასწავლებელთა ამ მუშაობაზე კონტროლს

8. მასწავლებელთა კოლექტიური მეთოდური მუშაობა ეწყობა სასკოლო, სასკოლათაშორისო, საოლქო ან საქალაქო მეთოდურ გაერთიანებებში.

ა) ასეთი გაერთიანებანი შესაძლოა შეიქმნას კლასების (დაწყებითი კლასების მასწავლებელთათვის ცალკე კლასების მიხედვით) ან საგნების მიხედვით. სკოლებში დაწყებითი კლასების მასწავლებელთა ან საგნობრივი მეთოდური გაერთიანებანი იქმნება პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით იმ შემთხვევაში, თუ არის დაწყებითი კლასების ან ყოველი სპეციალობის 3 მასწავლებელი მაინც.

კლასის ხელმძღვანელებისათვის მეთოდური დახმარების გასაწევად და მათი მუშაობის გამოცდილების გაზიარებისათვის საჭიროებლოა ყოველ სკოლაში შეიქმნეს კლასის ხელმძღვანელთა მეთოდური გაერთიანება I—IV, V—VIII და IX—XI კლასებისათვის ცალ-ცალკე. ამავე დროს V—VIII და IX—XI კლასების ხელმძღვანელები შედიან საგნობრივ მეთოდურ გაერთიანებებში სპეციალობის მიხედვით. რიგ შემთხვევაში, როცა სოფლის სკოლას მასწავლებელთა მცირერიცხოვანობის გამო არ შეუძლია ჰქონდეს თავისი სასკოლო მეთოდური გაერთიანება, ხოლო სხვა სკოლებთან დაშორებულობის გამო მის მასწავლებლებს არ შეუძლიათ იმუშაონ სასკოლათაშორისო გაერთიანებებში, უნდა გამოვიყენოთ მუშაობის ისეთი ფორმები, როგორიცაა პერიოდული თათბირები პედაგო-

გიურ საკითხებზე სკოლის დირექტორებსა და სასწავლო ნაწილის გამგეებთან. პედაგოგიური კოლექტივის განსაკუთრებით პრინციპული და მეთოდური ამოცანების განხილვა პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე, ლექციების ციკლის ჩატარება სკოლის მასწავლებლებისათვის მარქსისტულ-ლენინური თეორიის საკითხებზე, ცალკეულ სამეცნიერო და პედაგოგიურ პრობლემებზე.

სასკოლო მეთოდგაერთიანებათა შეკრება მიზანშეწონილია ჩატარდეს მეოთხედში ერთხელ ან ორჯერ.

ბ) სასკოლათაშორისო გაერთიანებანი (საგნობრივი და დაწყებითი კლასების მასწავლებელთა) იქმნება უმთავრესად სოფლის ადგილებში, სადაც მანწავლებელთა მცირერიცხოვანობის გამო შეუძლებელია შეიქმნეს სასკოლო მეთოდური ორგანიზაციები. ამასთან, აუცილებელია გავითვალისწინოთ, აქვთ თუ არა სოფლის მასწავლებლებს ფაქტიური შესაძლებლობა ამ მეთოდურ გაერთიანებებში მუშაობისათვის სკოლების ერთმანეთისაგან დაშორებულობის გამო. სასკოლათაშორისო მეთოდური გაერთიანებების ცენტრები მიზანშეწონილია შეიქმნეს იმ საშუალო სკოლაში, სადაც თავმოყრილია უფრო კვალიფიციური კადრები და რომლებიც უმეტესწილად კომპლექტდებიან ახლომდებარე რვაწლიანი და დაწყებითი სკოლების კურსდამთავრებულთაგან. ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით სასკოლათაშორისო გაერთიანებანი შეიძლება შეიქმნეს აგრეთვე ერთმანეთთან ახლომდებარე რვაწლიანი სკოლის მასწავლებელთათვის, ამასთან ცენტრი იქნება ერთ-ერთი მათგანი.

სასკოლათაშორისო გაერთიანებათა შეკრება შეიძლება ჩატარდეს მეოთხედში 1—2-ჯერ;

გ) რაიონში ან ქალაქში ცალკეული საგნის მასწავლებელთა შორის მეთოდური მუშაობის კოორდინირების მიზნით, საჭიროა შეიქმნეს რაიონული საგნობრივი მეთოდური გაერთიანებანი თითოეული საგნის მასწავლებელთათვის ცალ-ცალკე. ასეთ გაერთიანებათა შეკრება სასწავლო წლის მანძილზე შეიძლება ტარდებოდეს ორჯერ-სამჯერ.

რაიონული, საქალაქო მეთოდური გაერთიანებანი უნდა შეიქმნეს იმ შემთხვევაშიც, როცა ცალკეული სკოლის მასწავლებელთა რაოდენობა დიდი არ არის; მიზანშეწონილია, რომ ასეთ გაერთიანებებში მუშაობდნენ ფიზკულტურის, ხატვის, ხაზვის, სიმღერის მასწავლებლები, სკოლა-ინტერნატებისა და სკოლებთან

არსებული სასკოლო ინტერნატების აღმზრდელები, რომლებსაც თავიანთი მცირერიცხოვნობის გამო არ შეუძლიათ იმუშაონ სკოლო და სასკოლათაშორისო გაერთიანებებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილებათა შეხედულებებისამებრ და მასწავლებელთა შეთანხმებით რიგ შემთხვევაში სასკოლო და სასკოლათაშორისო მეთოდური გაერთიანებების ნაცვლად შეიძლება შეიქმნეს სარაიონო (საქალაქო) მეთოდური გაერთიანებანი სხვა სპეციალობის მასწავლებლებისთვისაც: ამ სახის მეთოდურ გაერთიანებათა შეკრება მიზანშეწონილია ჩატარდეს მეოთხედში არანაკლებ ერთისა.

11. მოწინავე სკოლებისა და მასწავლებლების გამოცდილების განზოგადებისა და გავრცელების მიზნით უმდა შეიქმნეს მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების სკოლები.

მეთოდური მუშაობის ორგანიზაციის ეს ფორმა მთლიანად ამართლებს თავის თავს. მოწინავე გამოცდილების სკოლა წარმოადგენს მასწავლებელთა ჯგუფს, რომელიც გაერთიანებულია ნებაყოფლობის პრინციპზე კვალიფიციური მასწავლებლების ირგვლივ, რომელიც პრაქტიკულად თავისი მუშაობის გამოცდილებაზე ასწავლის მათ პედაგოგიური შრომის განსაკუთრებით ეფექტურ ხერხებს. იწვევს მათ თავის გაკვეთილებზე, ესწრება მათ გაკვეთილებს, ეხმარება სასწავლო მასალის დაგეგმვაში, უწევს კონსულტაციას მუშაობის შინაარსსა და მეთოდიკაში. მოწინავე გამოცდილებით სკოლები შეიძლება შეიქმნას როგორც ერთი პედაგოგიური კოლექტივის ისე ახლომდებარე სკოლების კოლექტივებისათვისაც.

12. თითოეული მასწავლებლისაგან არ უნდა მოვითხოვოთ იმუშაოს ერთზე მეტ სასკოლო მეთოდურ გაერთიანებაში (აქ მხედველობაში არ მიიღება კლასის ხელმძღვანელთა მეთოდური გაერთიანება), რათა არ დავუშვათ მისი გადატვირთვა.

სასკოლათაშორისო და სარაიონო მეთოდურ გაერთიანებათა მუშაობის აგეგმვისას საჭიროა გულდასმით იქნეს მოფიქრებული სასკოლათაშორისო და რაიონულ მეთოდურ გაერთიანებათა მუშაობის გრაფიკი, რათა არ დავუშვათ სასწავლო წლის ამა თუ იმ პერიოდში მასწავლებელთა მოწყვეტა სამუშაოდან. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასკოლათაშორისო და სარაიონო გაერთიანებათა მუშაობის პერიოდულობა განისაზღვრება რაიონის ან ქალაქის განათლების განყოფილების მიერ პროფკავშირულ ორგანიზაციებსა და სკოლების ხელმძღვანელებთან შეთანხმებით.

მთელ მეთოდურ მუშაობას საფუძვლად უნდა დაედოს პედაგოგიური გამოცდილების გულდასმით შესწავლა, ანალიზი და დანერგვა, პედაგოგიური ექსპერიმენტის სწორი ორგანიზაცია.

ამა თუ იმ მასწავლებლის წარმატება, თუნდაც პატარა ამოცანის გადაწყვეტაში, უნდა გახდეს ფართო განხილვის საგანი, რათა იგი ყველა მასწავლებლის საკუთრებად იქცეს.

ფართო საშუალება უნდა მიეცეთ ყოველი სკოლის, ყოველი რაიონისა და ქალაქის მასწავლებლებს გაიცნონ სხვა სკოლებში დაგროვილი გამოცდილება, რის შესახებაც მოთხრობილია პედაგოგიურ გაზეთებსა და ჟურნალებში, მონოგრაფიებში მეთოდურ დამხმარე სახელმძღვანელოებში და ა. შ.

მასწავლებელთათვის მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების გაცნობას ხელს უწყობენ მეთოდური მუშაობის ისეთი სახეები, როგორიცაა მოწინავე, გამოცდილი მასწავლებლების მოხსენებები, მათი პედაგოგიური დოკუმენტაციის გაცნობა, გაკვეთილებზე, •გრეთვე მასწავლებელთა და კლასის ხელმძღვანელთა კლასგარეშე მეცადინეობისა და სხვა აღმზრდელობითი ღონისძიებებზე დასწრება და განხილვა, ამასთან არ შეიძლება დავუშვათ ღია გაკვეთილები და აღმზრდელობითი მეცადინეობები ვაქციოთ თვითმიზნად. ეს ღონისძიებანი უნდა ასახავდნენ გამოცდილ მასწავლებლებისა და კლასის ხელმძღვანელთა ყოველდღიური მუშაობის სტილს, მის მიერ გამოყენებული სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მეთოდებისა და ხერხების სისტემას და ამით საშუალებას იძლეოდნენ გიმსჯელონ, მაღალკვალიფიციური პედაგოგების ნამდვილი მუშაობის გამოცდილებაზე. ფართო გავრცელები უნდა ჰპოვოს აგრეთვე მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების პოპულარიზაციისა და განზოგადების ისეთმა ფორმებმა და მეთოდებმა, როგორიცაა გამოცდილებათა გაზიარების სასკოლო კონფერენციები, რაიონული და საქალაქო პედაგოგიური კითხვები.

სახალხო განათლების ორგანოები, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი და სხვა სასწავლო პედაგოგიური დაწესებულებანი მოფიქრებულად და პასუხისმგებლობით უნდა მიუდგნენ აგრეთვე სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის განსაკუთრებით აქტუალურ საკითხებზე პედაგოგიური ექსპერიმენტების ორგანიზაციასა და დაყენებას.

III. ხელმძღვანელობა მეთოდური მუშაობისადმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლის დირექტორი და მისი მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში პასუხისმგებელნი არიან მასწავლებელთა დამოუკიდებელი მეთოდური მუშაობისათვის და უზრუნველყოფენ მათ მონაწილეობას სასკოლო, სასკოლათაშორისო, სარაიონო, საქალაქო მეთოდურ გაერთიანებებში, ისინი ადევნებენ თვალყურს მასწავლებელთა მეთოდური მუშაობის ეფექტიანობას და საჭიროების შემთხვევაში მასწავლებლებს უყენებენ მოთხოვნებს, რათა მათ უფრო მეტი იმუშაონ თანამედროვე მეცნიერული და პედაგოგიურ-მეთოდური დახელოვნების დონის ამაღლებისათვის. იმ სკოლების დირექტორები, რომლებიც სასკოლათაშორისო მეთოდურ გაერთიანებათა ცენტრებს წარძოადგენენ, ახორციელებენ ამ გაერთიანებათა საერთო ხელმძღვანელობას მათი თავმჯდომარეების მეშვეობით. ამ სკოლების დირექტორების მოვალეობას შეადგენს სასკოლათაშორისო გაერთიანებათა მეცადინეობის გრაფიკის შედგენა, სკოლების დროულად გაფრთხილება გაერთიანებათა სხდომების მოწვევის შესახებ, მათი მუშაობისადმი საერთო მეთვალყურეობა.

მასწავლებლებისადმი მეთოდური დახმარების ერ-ერთი ქმედითი ფორმა უნდა იყოს მათთან სკოლის დირექტორის ან სასწავლო დარგში მისი მოადგილის ინდივიდუალური მუშაობა. ეს, უპირველეს ყოვლისა, მდგომარეობს მასწავლებლისათვის პედაგოგიურ და მეთოდურ რეკომენდაციებში, რასაც სკოლის ხელმძღვანელები ახორციელებენ მასწავლებლებისა და კლასის ხელმძღვანელის გაკვეთილებზე, სხვა სახის მეცადინეობებსა და აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებებზე დასწრების შედეგების შესახებ მასწავლებლებთან საუბრის პროცესში. სკოლის დირექტორი ან მისი მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში, აუცილებლობის შემთხვევაში, იწვევს რა დასახმარებლად საგნის სპეციალისტებსა და დაწყებითი კლასების გამოცდილ მასწავლებლებს, ვალდებულია არა მხოლოდ აღნიშნოს მუშაობის შინაარსის ნაკლოვანებანი, არამედ მიუთითოს მათი გამოსწორების გზებზეც, ურჩიოს ლიტერატურა, რომელსაც მასწავლებელი აუცილებლად უნდა გაეცნოს, განუმარტოს პროგრამის ამა თუ იმ განყოფილების შინაარსის ან აღმზრდელობითი ამოცანის გადაწყვეტისადმი წაყენებული მოთხოვნები, მხარი დაუჭიროს მასწავლებლის სასარგებლო წამოწყებას მუშაობის ახალი მეთოდებისა და ხერხების შერჩევაში. უამბოს მუშაობის გაუსაკუთრებით სასარგებლო მეთოდებზე, რომელთაც

სკოლის სხვა მასწავლებლები იყენებენ, მისცეს რჩევა—დაეხმაროს მათ მეცადინეობებს და გაეცნოს მათი მუშაობის სისტემას.

ყოველი მეთოდური გაერთიანება ირჩევს თავმჯდომარეს

. ცემულ სპეციალობაში განსაკუთრებით გამოცდილი მასწავლებლებისაგან; იგი წარმოადგენს ამ გაერთიანების მთლიანი მუშაობის უშუალო ხელმძღვანელს, მასწავლებლების სურვილების გათვალისწინებით იგი ადგენს გაერთიანების კონკრეტულ გეგმას, ატარებს გაერთიანებების მეცადინეობებს.

მეთოდური მუშაობისადმი საერთო ხელმძღვანელობას რაიონში (ქალაქში) ახორციელებს რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილება უმთავრესად პედაგოგიური კაბინეტის საშუალებით. განათლების განყოფილება აწყობს ინსტრუქტაჟს სკოლების ხელმძღვანელებისა და მეთოდურ გაერთიანებათა თავმჯდომარეებისათვის მასწავლებლებთან მუშაობის შინაარსის, ფორმებისა და მეთოდების შესახებ. მათ ყურადღებას მიაქცევს სკოლის ცხოვრების განსაკუთრებით აქტუალურ საკითხებს, რომელთა ირგვლივ უნდა გამახვილდეს მეთოდურ გაერთიანებათა და სკოლის ხელმძღვანელთა ყურადღება მასწავლებლებთან მუშაობისას. იგი ამასთანავე სკოლების შემოწმებისას ახორციელებს კონტროლს მასწავლებლებთან მეთოდური მუშაობის დაყენებაზე.

პედაგოგიური კაბინეტი წარმოადგენს სახალხო განათლების განყოფილების მეთოდურ ორგანოს. იგი პრაქტიკულად ახორციელებს სკოლებში მეთოდური მუშაობისა და მეთოდური გაერთიანებისადმი ხელმძღვანელობას, იგი აწყობს სკოლის ხელმძღვანელებისა და მეთოდურ გაერთიანებათა თავმჯდომარეების კონსულტაციებს მეთოდური მუშაობის შინაარსისა და ფორმების შესახებ, დახმარებას უწევს კვალიფიციური ლექტორების მოწვევაში სკოლების მასწავლებლების წინაშე და მეთოდურ გაერთიანებებში გამოსვლისათვის, ადგენს ლიტერატურის სარეკომენდაციო სიას და ამ ლიტერატურით უზრუნველყოფს როგორც დამოუკიდებლად მომუშავე მასწავლებლებს, ისე მეთოდურ გაერთიანებებს. აწყობს სემინარებს, ლექციების ციკლს, ლიტერატურის მუდმივ გამოფენებს სკოლის მუშაობის განსაკუთრებით აქტუალურ საკითხებზე; სისტემატურად ატარებს ჯგუფურ და ინდივიდუალურ კონსულტაციებს მასწავლებელთა აქტივისა და სასწავლო პედაგოგიური დაწესებულებების მუშაკთა ძალებით თავიანთი კვალიფიკაციის ამაღლებაზე დამოუკიდებლად მომუშავე მასწავლებლებისათვის, აგრე-

თვე სასკოლო, სასკოლათაშორისო და რაიონულ (საქალაქო) მეთოდურ გაერთიანებათა მომხსენებლებისათვის. გარდა ამ სა,ეპედაგოგიური კაბინეტის გამგე უშუალოდ დახმარებას უწევს სკოლებსა და მეთოდურ გაერთიანებებს ადგილებზე სისტემატური მისვლის გზით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკაში მასწავლებელთა შორის მეთოდური მუშაობისადმი ხელმძღვანელობას ახორციელებს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი თავის ფილიალებით; იგი განაზოგადებს მეთოდურ გაერთიანებათა და სკოლაში მეთოდური მუშაობის გამოცდილებას, ამის საფუძველზე შეიმუშავებს რეკომენდაციებს მეთოდური მუშაობის გაუმჯობესებისათვის, სკოლისა და მეთოდურ გაერთიანებათა ხელმძღვანელების დასახმარებლად, კონსულტაციას უწევს მეთოდურ გაერთიანებათა და სკოლის ხელმძღვანელებს მეთოდური მუშაობის ორგანიზაციასა და შინაარსის საკითხებში, წარმართავს სარაიონო და საქალაქო პედაგოგიური კაბინეტების მუშაობას მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებაში.

განათლების სამინისტრო, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი და მისი ფილიალები მასწავლებელთა შორის მეთოდური მუშაობის განხორციელებისა და აგრეთვე პედაგოგიური ექსპერიმენტის ორგანიზაციასა და ჩატარებაში აბამენ პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მუშაკებსა და პედაგოგიური ინსტიტუტების თანამშრომლებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლებისა და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროების 1971 წლის 15 ივლისის ბრძანება № 403/542

რესპუბლიკის სკოლებში, სკოლა-ინტერნატებსა და სხვა საბავშვო დაწესებულებებში ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

აღინიშნოს, რომ გასულ 1970-1971 სასწავლო წელს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის სასწავლო დაწესებულებებში, წინა წლებთან შედარებით, ერთგვარად გაიზარდა ხანძრების შემთხვევები.

1970 1971 წლების შემოდგომა-ზამთრის პერიოდში ხანძრისაგან მთლიანად განადგურდა აბაშის რაიონის აბაშისპირის, ამბროლაურის რაიონის ველევის, ზუგდიდის რაიონის ერგეთის, ოდიშის პირველი, ხაშურის რაიონის ალის საშუალო და ტყიბულის რაიონის ჭყეპის დაწყებითი სკოლების შენობები. ხანძარმა მნიშვნელოვანი ძატერიალური ზარალი მიაყენა ყვარლის, ცხაკაიას, თელავის, ცხინვალისა და სამტრედიის რაიონების ზოგიერთ სკოლას.

ხანძრების უმრავლესობა წარმოშობილია ღამის საათებში, რაც გარკვეულ სიძნელეებს ქმნიდა ხანძრის კერების დროულად აღმოჩენისა და მათი ლოკალიზაციის, აგრეთვე პროფესიული და ნებაყოფლობითი სახანძრო რაზმების შეტყობინების საქმეში.

ხანძრები ძირითადად წარმოშობილია ელექტროგამახურებელი და გამთბობი მოწყობილობების სარგებლობისას სახანძრო უშიშროების წესების დარღვევის, უწესივრო ელექტროკაყვანილობების, საკვამლე მილების, დროებითი თუნუქისა და კედლის ღუმელების არასწორი ექსპლოატაციის შედეგად.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოს მიერ მიმდინარე წლის აპრილ-მაისში ჩატარებული ერთობლივი შემოწმების მასალებით ირკვევა, რომ სერიოზული ხასიათის ხანძარსაწინააღმდეგო დარღვევებს აქვს ადგილი ზუგდიდის, ონის, ყვარლის, ცხაკაიას, თელავის, წყალტუბოს, ცხინვალის, გეკეჭკორის, სამტრედიის, ამბროლაურისა და ხაშურის რაიონების ზოგიერთ სკოლასა და საბავშვო დაწესებულებაში, რაც ხანძრების წარმოშობის საშიშროებას ქმნის.

აღნიშნულ რაიონებში წლების მაძილზე შეუცვლელი რჩება მოძველებული ელექტროგაყვანილობა, სათანადო ყურადღება არ ექცევა ღუმელების, საკვამურების, სახანძრო წყალსაცავების შეკეთების, დამატებითი საევაკუაციო გამოსასვლელების მოწყობისა და ხანძარსაქრობი პირველადი საშუალებებით სკოლების უზრუნველყოფის საქმეს.

სასწავლო დაწესებულებათა შენობების მიმდინარე და კაპიტალური რემონტების დროს ყურადღება არ ეთმობა ხანძარსაწინააღმდეგო პროფილაქტიკურ სამუშაოების შესრულებას.

სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებათა მომსახურე პერსონალი მომზადებული არ არის ხანძრის შემთხვევაში ცეცხლთან საბრძოლველად.

ღამის საათებში ხანძრების წარმოშობის შემთხვევები ერთხელ კიდევ ადასტურებს იმას, რომ სასწავლო დაწესებულებათა ხელმძღვანელები არ იცნობენ სახანძრო უშიშროების ტიპიური წესების მოთხოვნებს სკოლებსა და სხვა საბავშვო დაწესებულებებში მუშაობის დამთავრებამდე თბობის წინასწარ შეწყვეტის შესახებ.

შეინიშნება ისიც, რომ ზაფხულის გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა განხორციელებისას ზოგიერთი პიონერთა ბანაკი და სხვა საბავშვო დაწესებულება მოთავსებულია სახოგადოებრივი სარგებლობისა და კერძო მესაკუთრეთა დაქირავებულ ისეთ შენობაში, რომელიც ვერ აკმაყოფილებს სახანძრო უშიშროების ელემენტარულ მოთხოვნებს და საფრთხეს უქმნის ბავშვების სიცოცხლეს.

ხანძრის შემთხვევების ზრდა და სახანძრო უშიშროების აღნიშნული დარღვევები უმთავრესად გამოწვეულია იმით, რომ სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეები და სკოლების ხელმძღვანელები არ ასრულებენ საქართველოს სსრ განათლების

სამინისტროს 1969 წლის 12 ნოემბრის № 104, 1970 წლის 13 აპრილის № 210 ბრძანებებსა და სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ორგანოების შესაბამის მითითებებს, ხოლო სახანძრო ზედამხედველობის ადგილობრივი ორგანოები ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელ მომთხოვნელობას იჩენენ სასწავლო დაწესებულებათა იმ ხელმძღვანელობის მიმართ, რომლებიც წლების მანძილზე არ ასრულებენ სადირექტივო ორგანოების მითითებებს და სრულ უპასუხისმგებლობას იჩენენ სახანძრო უშიშროების განმტკიცების საქმეში.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ თ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა, რესპუბლიკური დაქვემდებარეების სასწავლო და საბავშვო დაწესებულებათა დირექტორებმა:

ა) სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ადგილობრივ ორგანოებთან ერთად 1971 წლის 1 სექტემბრამდე შეისწავლონ ყველა სკოლის, სკოლა-ინტერნატისა და საბავშვო დაწესებულების ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა, შემოწმების შედეგები განიხილონ სამინისტროების კოლეგიების, განათლების განყოფილებებისა და პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე; დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

ბ) სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებათა შენობების მიმდინარე და კაპიტალური რემონტების ჩატარებისას გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი გათბობის სისტემების, სახანძრო ჰიდრანტების, შიდა სახანძრო ონკანების, წყალსაცავების სრულ წესრიგში მოყვანის, სხვენში ასასვლელი ხვრელებისათვის საკეტების მოწყობისა და სასხვენო ხის კონსტრუქციების ცეცხლგამძლე ხსნარით დასამუშავებლად;

გ) ზაფხულის გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა განხორციელებისას კატეგორიულად აკრძალონ სკოლებში, სკოლა-ინტერნატებში, საზოგადოებრივი სარგებლობისა და კერძო მეპატრონეთა დაქირავებულ ბინებში პიონერთა ბანაკებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებათა მოთავსება ადგილობრივი სახანძრო ზედამხედველობის ორგანოების შეთანხმების გარეშე;

დ) სკოლები, სკოლა-ინტერნატები და სხვა საბავშვო დაწესებულებანი უზრუნველჰყონ სახანძრო უშიშროების ტიპიური წესებით და უმოკლეს დროში გააცნონ ისინი განათლების სისტემის ყველა მუშაკს;

ე) სკოლების ინსპექტირების დროს პარალელურად შეისწავლონ ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა, მიიღონ გადამჭრელი ზომები შემჩნეულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

ვ) აამაღლონ სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებათა ხელმძღვანელების პერსონალური პასუხისმგებლობა და მკაცრად გააფრთხილონ ისინი, რომ პირადად პასუხს აგებენ სახანძრო უშიშროების მოთხოვნილებათა შეუსრულებლობის მიზეზით გამოწვეულ ხანძრის შედეგებზე.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსმა, ქალაქებისა და რაიონების შინაგან საქმეთა სამმართველოებისა და განყოფილებების უფროსებმა:

ა) მიიღონ გადამჭრელი ზომები სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებათა სახანძრო უშიშროების განსამტკიცებლად, სათანადოდ დასაჯონ იმ ობიექტების ხელმძღვანელები, რომლებიც სისტემატურად არ ასრულებენ სადირექტივო ორგანოების მითითებებს და უხეშად არღვევენ სახანძრო უშიშროების წესებს;

ბ) გაატარონ წინასწარ საჭირო პროფილაქტიკური ღონისძიებანი და არ დაუშვან ზაფხულის გამაჯანსაღებელი ღონისძიებათა გატარებისას პიონერთა ბანაკებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებათა მოთავსება ისეთ შენობებში, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ სახანძრო უშიშროების მოთხოვნებს;

გ) სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ორგანოების უშუალო მონაწილეობით პრაქტიკული დახმარება გაუწიონ სახალხო განათლების ობიექტების ხელმძღვანელებს ნორჩ მოხალისეთა სახანძრო რაზმეულების ჩამოყალიბებისა და მათი მუშაობის გააქტიურების, საევაკუაციო გეგმების შედგენისა და მომსახურე პერსონალის ცეცხლთან საბრძოლველად მომზადების საქმეში;

დ) პრაქტიკაში შემოიღონ განათლების ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენლებთან ერთად ზამთრის პერიოდში, ღამით, სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებათა სახანძრო უშიშროების მდგომარეობის შემოწმება, არ დატოვონ

რეაგირების გარეშე გამოვლინებული დარღვევების არც ერთი შემთხვევა.

3. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ განათლების ობიექტების იმ ხელმძღვანელებს, რომელთა უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამო წარმოიშვა ხანძარი, დაედოთ სათანადო სასჯელი.

4. ამ ბრძანების შესასრულებლად ჩატარებული მუშაობის შესახებ წარმოადგინონ მოხსენებითი ბარათები დაქვემდებარების მიხედვით 1971 წ. 1-ლ სექტემბრამდე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს 9 ივლისის კოლეგიების დადგენილებები.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

საქართველოს სსრ შინაგან
საქმეთა მინისტრი
ე. შევარდნაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წ. 3 ივლისის ბრძანება № 351

ახალციხის დამხმარე სკოლა-ინტერნატის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

გავეცანი რა ახალციხის დამხმარე სკოლა-ინტერნატის მუშაობის შემოწმების მასალებს, აღვნიშნავ, რომ ახალციხის დამხმარე სკოლა-ინტერნატის მუშაობაში მიღწეულია გარკვეული წარმატებები.

სკოლა-ინტერნატში სწავლება მიმდინარეობს ახალი სასწავლო გეგმისა და მოქმედი პროგრამების შესაბამისად. დამაკმაყოფილებელია მოსწავლეთა ცოდნის დონე ქართულ და რუსულ ენებში, არითმეტიკაში, ისტორიასა და გეოგრაფიაში. მეთოდურად სწორად ტარდება ფიზკულტურისა და სიმღერის გაკვეთილები.

დამაკმაყოფილებლად მუშაობენ მასწავლებლები: ქართულ და რუსულ ენებში ი. ი. ნებაძე, ნ. პ. კაცია, ზ. ბ. იუხნო, არითმეტიკაში ე. ა. ღოცულაშვილი, ფიზკულტურაში ხ. ა. დილბაროვი, შრომაში ე. მ. ქვიანი და ს. თ. გრამატოპულო. ისინი გულდასმით ემზადებიან გაკვეთილებისათვის, სწავლებაში იყენებენ თვალსაჩინოებას, სწორად წარმართავენ საშინაო დავალების შესრულების შემოწმებას და მუშაობაში ითვალისწინებენ დამხმარე სკოლაში მუშაობის თავისებურებას.

სკოლა-ინტერნატში სათანადო ყურადღება ექცევა ცალკეულ სასწავლო დისციპლინების სწავლების გაუმჯობესების საქმეს. დირექტორი მ. ყარაგვეზაშვილი და დირექტორის მოადგილე სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის დარგში ზ. სვანიძე სისტემატურად ესწრებიან მასწავლებელთა გაკვეთილებს, დასწრების შედეგებს იხილავენ პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე და შემჩნეულ ნაკლთა გამოსასწორებლად სახავენ ღონისძიებებს.

სერიოზული ყურადღება ექცევა აღსაზრდელთა შრომითი სწავლების საქმეს. ჭრა-კერვისა და სადურგლო სახელოსნოებში ჩაბმულია აღსაზრდელთა დიდი ნაწილი.

კურსდამთავრებულთა უმრავლესობა ყოველწლიურად ეწყობა სამუშაოზე, ნაწილი კი ვალეს პროფტექნიკურ სასწავლებელში.

სკოლა-ინტერნატში დაცულია სისუფთავე და წესრიგი, მოსწავლეთა პირადი ჰიგიენა დამაკმაყოფილებელია. აღსაზრდელთა კვება ოთხჯერადია.

მიუხედავად აღნიშნული მდგომარეობისა, ახალციხის დამხმარე სკოლა-ინტერნატის მუშაობაში ადგილი აქვს რიგ ნაკლოვან მხარეებს.

ცალკეულ სასწავლო დისციპლინების სწავლებასა და საალმზრდელო მუშაობაში შეინიშნება ნაკლი. მოსწავლეთა ერთი ნაწილი ძნელად ითვისებს არითმეტიკას; უძნელდებათ წესებისა და განსაზღვრების მკაფიოდ გამოხატვა; არ არის დაცული საკონტროლო და საკლასო წერითი ნორმები; ზოგჯერ საწერ მასალად შერჩეული თემები ერთფეროვანია (ლექსის დაფიდან გადაწერა, კარნახი) წერითი ნაშრომების გასწორებისას გაპარულია ორთოგრაფიული და სტილისტური ხასიათის შეცდომები; სკოლა-ინტერნატი არაა უზრუნველყოფილი დეფექტოლოგიური განათლების მქონე მასწავლებლებით.

სკოლა-ინტერნატის შენობა ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებებს. დამხმარე ინტერნატს არ აქვს კეთილმოწყობილი აბანო-სამრეცხაო, პირსაბანი და ფეხის დასაბანი ადგილი; სივიწროვეა საძინებელში; ზოგიერთი საკლასო ოთახი ბნელია; მოუწყობელია სასადილო; სიძველის გამო ნესაცვლელია რბილი და მაგარი ინვენტარი.

სკოლა-ინტერნატში არაა კეთილმოწყობილი ჭრა-კერვისა და სადურგლო სახელოსნოები. სახელოსნოებში არაა დიდაქტიკური მასალა და სუსტად მარაგდებიან სწავლებაში ტექნიკური საშუალებებით, ხის მასალითა და სხვ.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ახალციხის დამხმარე სკოლა-ინტერნატის დირექტორმა (მ. ყარაგვეზაშვილმა):

ა) მასწავლებელთა და აღმზრდელთა მუშაობაზე ხელმძღვანელობისა და კონტროლის გაძლიერებით უზრუნველყოს სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის არსებითად გაუმჯობესება;

ბ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს წერითი ნორმების დაცვასა და საწერი თემებისა და სახეების შერჩევას ცალკეული კლასების მიხედვით, უზრუნველყოს მოსწავლეთა ზეპირი და წერითი მეტყველების კულტურის ამაღლება;

გ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს აღსაზრდელთა შრომით სწავლებას: უზრუნველყოს ჭრა-კერვისა და სადურგლო სახელოსნოების კეთილმოწყობა, სახელოსნოების სამუშაო ხელსაწყო-იარაღებით უზრუნველყოფა და პროგრამით გათვალისწინებული მასალის საფუძვლიანი ათვისება;

დ) სახელოსნოში მუშაობისას აღსაზრდელთათვის დააწესოს სპეცტანსაცმელი და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს უსაფრთხოების წესების დაცვას;

ე) საჭირო ზომები გაატაროს მოსწავლეთა სახელმძღვანელოებით, თვალსაჩინოებითა და სხვა სასწავლო ნივთებით უზრუნველსაყოფად;

ვ) მიიღოს ზომები ეზოსა და შენობა-ნაგებობების კეთილმოწყობის უზრუნველსაყოფად;

ზ) გააუმჯობესოს სკოლა-ინტერნატში აღსაზრდელთა სამედიცინო მომსახურება.

2. ახალციხის რაიონის განათლების განყოფილების გამგემ (ბ. ახვლედიანმა) რეგულარულად შეამოწმოს ახალციხის დამხმარე სკოლა-ინტერნატის მუშაობა და შემოწმებით გამოვლინებულ ნაკლთა გამოსასწორებლად გაატაროს ყველა საჭირო ღონისძიება.

3. ამ გრძანების შესრულებაზე კონტროლი დაეკისროს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს (ამხ. რ. კანდელაკი).

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1970 წლის 26 ივნისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ

საქართველოს სსრ განათლების მინისტრის
მოადგილე უშ. ობოლაძე
აგვისტო, 1971 წელი

სასწავლო გეგმა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ვ. მ. კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის საშუალო სკოლა-ინტერნატისა 1971-1972 სასწავლო წლისათვის

	საგნების დასახელება	ქართული სექტორი, საათების რაოდენობა კვირაში კლასების მიხედვით			რუსული სექტორი, საათების რაოდენობა კვირაში კლასების მიხედვით		
		VIII	IX	X	VIII	IX	X
1	მშობლიური ენა	2	—	—	2	—	1
2	მშობლიური ლიტერატურა	2	4	3	3	4	3
3	ქართული ან რუსული ენა და ლიტერატურა . .	4	4	4	3	2	2
4	მათემატიკა . . .	8	11	11	8	11	11
5	ისტორია .	3	4	3	3	4	3
6	საზოგადოებათმცოდნეობა .	—	—	2	—	—	2
7	გეოგრაფია . . .	3	2	—	2	2	—
8	ბიოლოგია . . .	2	1	2	2	1	2
9	ფიზიკა . . .	5	7	7	5	7	7
15	ასტრონომია . .	—	—	1	—	—	1
11	ქიმია . . .	2	3	3	2	3	3
12	ხაზვა . . .	2	—	—	2	—	—
13	უცხოური ენა	2	2	2	2	2	2
14	ფიზკულტურა	2	3	2	2	3	2
15	შრომითი სწავლება	2	1	1	2	2	2
	ჯ ა მ ი . . .	39	42	41	38	41	41
	ფაკულტატური მეცადინეობა	2	3	3	2	3	3

სკოლა ინტერნატებისა და საბავშვო
სახლების სამმართველოს უფროსი **რ. კანდელაკი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ე ნ ი შ ვ ე ბ ი:

1. სასწავლო წელი ყველა კლასში იწყება 1 სექტემბერს. სასწავლო წლის განმავლობაში ტარდება არდადეგები: საშემოდგომო—5 დღე (5-დან 9 ნოემბრამდე ჩათვლით), ზამთრის—12 დღე (30 დეკემბრიდან 10 იანვრამდე ჩათვლით), საგაზაფხულო—8 დღე (24-დან 31 მარტამდე ჩათვლით).

2. მე-8 და მე-10 კლასებში სასწავლო მეცადინეობა მთავრდება 25 მაისს, ხოლო მე-9 კლასებში 27 მაისს.

3. სასწავლო მეცადინეობის დამთავრების შემდეგ 1-დან 7 ივნისამდე ჩათვლით მე-9 კლასებში ტარდება კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდები.

4. მე-8 კლასებში გამოსაშვები გამოცდები ტარდება 1-დან 10 ივნისამდე ჩათვლით, ხოლო მე-10 კლასებში 1 ელ ივნისიდან 25 ივნისამდე ჩათვლით.

5. კლასების ორ ჯგუფად გაყოფის წესი ვრცელდება მე-8, მე-9 და მე-10 კლასებზე უცხო ენაში, რუსულ ენაში, მათემატიკასა და ფიზიკაში, ხოლო მე-9 და მე-10 კლასებზე—ფიზკულტურაში.

ჯგუფი იყოფა იმ შემთხვევაში, როცა თითოეულ კლასში მოსწავლეთა რაოდენობა 25-ზე მეტია.

6. მათემატიკისათვის განკუთვნილი საათების საერთო რაოდენობიდან უმაღლესი მათემატიკის საკითხების შესწავლას VIII კლასში ეთმობა 1 საათი, IX კლ.—2 საათი და X კლ.—2 საათი.

7. ფიზიკისათვის განკუთვნილი საათების საერთო რაოდენობიდან ზოგადი ფიზიკის საკითხების შესწავლას IX კლ. ეთმობა—2 საათი და X კლ.—2 საათი.

8. ისტორიისათვის განკუთვნილი საათების საერთო რაოდენობიდან საქართველოს ისტორიის შესწავლას ეთმობა მე-8, მე-9, და მე-10 კლასებში 10—10 საათი.

9. გეოგრაფიის შესწავლისათვის განკუთვნილი საათების საერთო რაოდენობიდან საქართველოს სსრ გეოგრაფიის პროგრამული თემების შესწავლას ეთმობა მე-8 კლასში 30 საათი.

10. ფაკულტატიური მეცადინეობისათვის განკუთვნილი საათების საერთო რაოდენობიდან მათემატიკას VIII კლასში დაეთმობა 1 საათი, ფიზიკას VIII კლასში 1 საათი, ხოლო IX—X კლასებში ფიზიკას 1 საათი, მათემატიკას 2 საათი.

სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო
სახლების სამმართველოს უფროსი **რ. კანდელაკი**

სმენადაქვეითებულ და გვიანდაყრუებულ ბავშვთა
სკოლა-ინტერნატის

სასწავლო გეგმა

1971—1972 სასწავლო წლისათვის

ვამტკიცებ
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე
უ. ...
20 აგვისტო, 1971 წელი

II განყოფილება

№№	საგნების დასახელება	1 კლ.	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	კვირეულ საათების სულ	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16
1	მშობლიური ენა	14	14	14	12	13	14	8	7	4	4	4	5	113	
2	მშობლიური ლიტერატურა	—	—	—	—	—	—	4	4	5	4	5	5	27	
3	მათემატიკა	6	6	6	6	6	6	6	6	6	6	5	5	70	
4	რუსული ან ქართული ენა	—	—	2	2	3	3	3	4	4	4	4	4	33	
5	ისტორია	—	—	—	—	—	—	2	2	2	2	3	3	14	
6	ბუნებისმცოდნეობა . . .	—	—	—	2	3	4	—	—	—	—	—	—	9	
7	გეოგრაფია	—	—	—	—	—	—	2	2	2	2	2	3	13	
8	ბიოლოგია	—	—	—	—	—	—	2	2	2	2	2	2	12	
9	ფიზიკა	—	—	—	—	—	—	—	—	2	2	3	2	9	
10	ხაზვა	—	—	—	—	—	—	—	—	1	1	1	1	4	
11	ქიმია	—	—	—	—	—	—	—	—	—	2	2	2	6	
12	საკვითი ხელოვნება . . .	1	1	1	1	1	1	1	—	—	—	—	—	7	
13	სმენითი აღქმის განვითარება	1	1	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	2	

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16
14	რითმიკა	1	1	1	1	—	—	—	—	—	—	—	—	4	
15	ფიზკულტურა	1	1	1	1	2	2	2	2	2	2	2	2	20	
16	შრომითი სწავლება და საწარმოო შრომითი მომზადება	2	2	2	2	2	2	2	4	4	3	4	4	33	
	სავალდებულო მეცადინეობა	26	26	27	27	30	32	32	34	34	34	37	38	377	
17	ინდივიდუალური მუშაობა მეტყველებისა და სმენითი აღქმის განვითარებისათვის	4	4	3	3	2	2	2	2	2	2	2	2	30	
18	კლასგარეშე მუშაობა მეტყველებაზე . . .	2	2	2	2	2	2	2	2	2	—	—	—	18	
	სულ	32	32	32	32	34	36	38	38	38	36	39	40	425	
19	შრომითი და საწარმოო პრაქტიკა														
	დღეები	—	—	—	—	6	12	12	12	12	12	12	—	—	
	საათები	—	—	—	—	18	48	48	48	48	48	48	—	—	

სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო
სახლების სამმართველოს უფროსი **რ. კანდელაკი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატში სასწავლო მეცადინეობა და არდადეგები იწყება და მთავრდება რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის დადგენილ ვადებში.

2. გამოცდების ჩატარების ვადები, მათი ხასიათი და შინაარსი განისაზღვრება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული საგამოცდო ინსტრუქციით.

3. სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სამუშაო დროს მოსწავლეთა სასაუბრო საყოფაცხოვრებო მეტყველების განვითარებისათვის. ამ სამუშაოს ასრულებს მასწავლებელი და განსაზღვრულია სპეციალური ცხრილით.

4. შრომითი სწავლებისა და საწარმოო შრომითი მომზადების სასწავლო ჯგუფების დატვირთვა განისაზღვრება 8—10 მოსწავლით.

5. შრომითი და საწარმოო პრაქტიკა ტარდება სასწავლო მეცადინეობის დამთავრების წემდეგ ან სასწავლო წლის მანძილზე განსაზღვრულ კალენდარულ ვადებში, პრაქტიკის ჩატარების ვადები ან მისი მონაცვლეობა სასწავლო მეცადინეობასთან განისაზღვრება გრაფიკით.

6. სმენადაქვეითებულ და გვიანდაყრუებულ გონებაჩამორჩენილ ბავშვთა დამხმარე კლასების დატვირთვა განისაზღვრება 5—7 მოსწავლით, ხოლო სააღმზრდელო ჯგუფების 10—12 მოსწავლით.

სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო
სახლების სამმართველოს უფროსი **რ. კანდელაკი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვამტკიცებ
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე
უშ. ობოლაძე
1971 წლის 20 აგვისტო

სასწავლო გეგმა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მუსიკალური სკოლა-ინტერნატისა 1971—1972 სასწავლო წლისათვის

	საგნების დასახელება	საათების რაოდენობა კვირაში კლ. მიხედვით							
		1	2	3	4	5	6	7	8
1	ქართული ენა	11	9	8	4	3	4	3	2
2	ქართული ლიტერატურა .	—	—	—	2	2	1	2	2
3	რუსული ენა და ლიტერატურა	—	5	5	5	6	5	4	4
4	მათემატიკა	6	5	6	6	6	6	6	5
5	ისტორია	—	—	—	2	2	2	3	3
6	საზ. მცოდნეობა . . .	—	—	—	—	—	—	—	—
7	ბუნებისმცოდნეობა . .	—	—	—	1	—	—	—	—
8	გეოგრაფია	—	—	—	—	2	3	2	3
9	ბიოლოგია	—	—	—	—	2	2	2	2
10	ფიზიკა	—	—	—	—	—	2	2	3
11	ასტრონომია	—	—	—	—	—	—	—	—
12	ხაზვა	—	—	—	—	—	—	1	2
13	ქიმია	—	—	—	—	—	—	1	2
14	უცხო ენა	—	—	—	—	2	2	2	2
15	სახვითი ხელოვნება . . .	1	1	1	1	1	1	1	1
16	ხელოვნ. ისტორია . .	—	—	—	—	—	—	—	—
17	ფიზკულტურა . . .	2	2	2	2	2	2	2	2
18	შრომითი სწავლება . . .	1	1	1	1	1	1	1	1
	სულ	21	23	23	24	28	31	32	34

სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო
სახლების სამმართველოს უფროსი **რ. კანდელაკი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე
უ შ. ო ბ ო ლ ა ძ ე
1971 წელი, 20 აგვისტო

სასწავლო გეგმა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მუსიკალური საშუალო სკოლა-ინტერნატისა სპეციალობა: ვიოლინო, ჩელო

№	საგნების დასახელება	კ ლ ა ს ე ბ ი							
		1	2	3	4	5	6	7	8
1	სპეციალობა (ინდ.) . . .	6	4	4	4	4	4	4	4
2	ფორტეპიანო (ინდ.) . . .	—	2	2	2	2	2	2	2
3	ანსამბლი (ინდ.)	—	—	1	1	1	1	1	1
4	კომპოზიცია (ინდ.) . . .	—	—	—	—	—	—	—	—
5	სოლფეჯიო (ჯგ.)	6	6	4	3	3	3	3	2
6	გუნდი (ჯგ.)	—	—	2	2	2	2	2	2
7	მუსლიტერატურა(ჯგ.) . .	—	—	1	1	1	1	1	1
8	ჰარმონია (ჯგ.)	—	—	—	—	—	—	—	—
9	ორკესტრი (ჯგ.)	—	—	—	—	—	2		2
10	ილუსტრაცია (ჯგ.) . . .	—	—	1	1	1	1	1	1
11	თეორია (ჯგ.)	—	—	—	—	—	—	—	—
12	საკონცერტმეისტერო (ჯგ.)	1	1	3	4	4	4	4	4
13	რითმიკა (ჯგ.)	1	1	1	1	1	1	1	1
	სულ . .	14	14	17	19	19	21	21	21

სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს უფროსი **რ. კანდელაკი**

ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის დირექტორი **ჯ. მუჯირი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ ს

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე
უ შ. ო ბ ო ლ ა ძ ე
1971 წელი, 20 აგვისტო

სასწავლო გეგმა

საქ. სსრ განათლების სამინისტროს მუსიკალური საშუალო სკოლა-ინტერნატისა. სპეციალობა: სასულე და ხალხური საკრავები, არფა, კონტრაბასი, დასარტყამი საკრავები

№	საგნების დასახელება	კლასები			
		5	6	7	8
1	სპეციალობა (ინდივიდ.)	4	4	4	4
2	ფორტეპიანო „	2	2	2	2
3	ანსაბლი „	1	1	1	1
4	კომპოზიცია „	—	—	—	—
5	სოლფეჯიო (ჯგ.)	3	3	3	3
6	გუნდი (ჯგ.)	2	2	2	2
7	მუს. ლიტ. (ჯგ.)	1	1	1	1
8	ჰარმონია (ჯგ.)	—	—	—	1
9	თეორია (ჯგ)	—	—	—	—
10	ორკესტრი „	—	2	2	2
11	ილუსტრაცია „	1	1	1	1
12	საკონცერტმეისტერო (ჯგ.) . .	3	3	3	3
13	რითმიკა „ . .	1	1	1	1
		18	20	20	21

სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს უფროსი **რ. კანდელაკი**

ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის დირექტორი **ჯ. მუჯირი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვამტკიცებ
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე
უშ. ობოლაძე
1971 წელი, 20 აგვისტო

სასწავლო გეგმა

რუსთავის ქიმიის გაძლიერებული სწავლების სკოლა-ინტერნატისა. 1971—1972 სასწავლო წელი

№	საგნების დასახელება	საათების რაოდენობა კლასების მიხედვით (კვირაში)							
		III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X
1	ქართული ენა	8	4	4	4	3	2	5	—
2	ქართული ლიტერატურა	—	2	2	2	2	2	4	3
3	რუსული ენა და ლიტ.	6	6	6	5	4	4	4	4
4	მათემატიკა	6	7	6	6	6	5	6	6
5	ისტორია	—	2	2	2	3	3	4	3
6	სახოგადოებათმცოდნეობა	—	—	—	—	—	—	—	2
7	ბუნებისმცოდნეობა	—	1	—	—	—	—	—	—
8	გეოგრაფია	—	—	2	3	2/3	3	2	—
9	ბიოლოგია	—	—	2	2	2	2	1	2
10	ფიზიკა	—	—	—	2	2	3	5	5
11	ასტრონომია	—	—	—	—	—	—	—	1
12	ხაზვა	—	—	—	—	1	2	—	—
13	ქიმია	—	—	—	—	2	5	8	8
14	უცხოური ენები	—	—	3	3	3/2	2	2	2
15	სახვითი ხელოვნება	1	1	1	1	—	—	—	—
16	მუსიკა	1	1	1	1	—	—	—	—
17	ფიზკულტურა	2	2	2	2	2	2	3	2
18	შრომითი სწავლება	1	1	2	2	2	2	1	1
	სულ	25	27	33	35	34	37	40	39
19	ფაკულტატიური მეცადინეობა	—	—	—	—	—	2	2	2

სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო
სახლების სამმართველოს უფროსი **რ. კანდელაკი**

შ ე ნ ი შ ვ ნ ა

1. სასწავლო წელი ყველა კლასებში იწყება 1 სექტემბერს. სასწავლო წლის განმავლობაში ტარდება არდადეგები: საშემოდგომო—5 დღე (5-დან 9 ნოემბრამდე ჩათვლით), ზამთრის—12 დღე (30 დეკემბრიდან 10 იანვრამდე ჩათვლით), საგაზაფხულო—8 დღე (24-დან 31 მარტამდე ჩათვლით).

2. მე-8 და მე-10 კლასებში სასწავლო მეცადინეობა მთავრდება 25 მაისს, ხოლო მეცხრე კლასებში 27 მაისს.

3. სასწავლო მეცადინეობის დამთავრების შემდეგ 1-დან 7 ივნისამდე ჩათვლით მე-9 კლასებში ტარდება გადასაყვანი გამოცდები.

4. მე-8 კლასებში გამოსაშვები გამოცდები ტარდება 1-დან 10 ივნისამდე ჩათვლით, ხოლო მე-10 კლასებში 1-ლი ივნისიდან 25 ივნისამდე ჩათვლით.

5. კლასების ორ ჯგუფად გაყოფის წესი ვრცელდება მე-8, მე-9 და მე-10 კლასებზე უცხო ენაში, ქიმიასა და ფიზკულტურაში.

ჯგუფი იყოფა იმ შემთხვევაში, როცა თითოეულ კლასში მოსწავლეთა რაოდენობა 25-ზე მეტია.

6. საქართველოს ისტორიის შესწავლას მე-8, მე-9 და მე-10 კლასებში ეთმობა 10—10 საათი.

7. მე-8 კლასში გეოგრაფიისათვის განკუთვნილი საათების საერთო რაოდენობიდან საქართველოს სსრ გეოგრაფიის პროგრამული თემების შესწავლას ეთმობა 30 საათი.

8. ფაკულტატიური მეცადინეობისათვის განკუთვნილი საათების საერთო რაოდენობიდან VIII—X კლასებში ქიმიას დაეთმობა 1 საათი, ფიზიკას 1 საათი.

9. III—VII კლასებში მეცადინეობენ ზოგადსაგანმანათლებლო დღის სკოლის სასწავლო გეგმით.

სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო
სახლების სამმართველოს უფროსი **რ. კანდელაკი**

ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ
საქართველოს განათლების
მინისტრის მოადგილე
უ შ. [illegible]
20 აგვისტო, 1971 წელი

უსინათლო ბავშვთა საშუალო სკოლა-ინტერნატის
სასწავლო გეგმა
1971—1972 სასწავლო წლისათვის

№ რიგზე	საგნების დასახელება	საათების რაოდენობა კლასების მიხედვით											
		მოსამზ. კლასი	I კლ.	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI
1	ქართული ენა	12	12	9	8	4	4	4	4	2	—	—	—
2	ქართული ლიტერატურა	—	—	—	—	2	2	2	2	2	4	3	3
3	რუსული ენა და ლიტერატურა	—	—	5	4	5	5	5	4	4	4	4	4
4	მათემატიკა	6	6	6	6	6	6	6	6	5	5	6	6
5	ისტორია	—	—	—	—	—	2	2	3	3	3	3	3
6	საზოგადოებათმცოდნეობა	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	2	2
7	ბუნებისმცოდნეობა	—	—	—	2	2	—	—	—	—	—	—	—
8	გეოგრაფია	—	—	—	—	—	2	3	3	3	2	—	—
9	ფიზიკა	—	—	—	—	—	—	—	2	2	4	4	4
10	ასტრონომია	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
11	ხაზვა	—	—	—	—	—	—	—	—	1	1	—	—
12	ქიმია	—	—	—	—	—	—	—	—	2	3	3	3
13	ბიოლოგია	—	—	—	—	—	—	2	2	2	—	1	
14	უცხო ენა	—	—	—	—	—	3	3	2	2	2	2	2
15	სახვითი ხელოვნება (ტიფლოგრაფია)	1	1	1	1	1	1	—	—	—	—	—	—
16	სიმღერა და მუსიკა	1	1	1	1	1	1	1	1	1	—	—	—
17	ფიზკულტურა	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2
18	შრომითი სწავლება და საწ. შრომ. მომზ.	2	2	2	2	2	3	2	2	4	4	4	4
	ს უ ლ	24	24	26	26	25	31	32	33	35	34	34	33

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ რიგზე	საგნების დასახელება	საათების რაოდენობა კლასების მიხედვით											
		მოსაგზ. კლასი	I კლ.	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI
19	ფაკულტატიური	—	—	—	—	—	—	2	2	3	4	4	3
20	ჯგუფური და ინდივიალ. მეცადინეობა ფიზიკური განვითარების ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. (რითმიკა)	2	2	1	1	2	2	2	—	—	—	—	—
21	ჯგუფური და ინდივიდუალური მეც. მეტყველების განვითარების და სხვა ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად	2	2	1	1	1	1	1	—	—	—	—	—
	ს უ ლ	28	28	28	28	28	34	36	35	38	38	38	36
	შრომითი და საწარმოო პრაქტიკა დღეებში—							6	6	12	12		
	საათებში	—	—	—	—	—	—	18	24	42	42	—	—

სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების
სამმართველოს უფროსი რ. კანდელაკი

სუსტადმხედველ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების

სასწავლო გეგმა

1971—1972 სასწავლო წლისათვის

ვამტკიცებ?
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე
20 აგვისტო, 1971 წელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

№ რიგზე	საგნების დასახელება	საათების რაოდენობა კლასების მიხედვით												
		მოსამზ. კლასი	I კლ.	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	სულ
1	ქართული ენა	12	12	8	8	4	4							48
2	ქართული ლიტერატურა	—	—	—	—	2	2							4
3	რუსული ენა და ლიტერატურა	—	—	4	4	5	5							18
4	მათემატიკა	6	6	6	6	6	6							36
5	ისტორია	—	—	—	—	—	2							2
6	საზოგადოებათმცოდნეობა	—	—	—	—	—	—							
7	ბუნებისმცოდნეობა	—	—	2	2	2	—							
8	გეოგრაფია	—	—	—	—	—	2							6
9	ფიზიკა	—	—	—	—	—	—							2
10	ასტრონომია	—	—	—	—	—	—							
11	ხაზვა	—	—	—	—	—	—							
12	ქიმია	—	—	—	—	—	—							
13	ბიოლოგია	—	—	—	—	—	—							
14	უცხო ენა	—	—	—	—	—	3							3
15	სახვითი ხელოვნება (ტიფლოგრაფია)	1	1	1	1	1	1							6
16	სიმღერა და მუსიკა	1	1	1	1	1	1							6
17	ფიზკულტურა	2	2	2	2	2	2							12
18	შრომითი სწავლება და სწ. შრ. მომზ.	2	2	2	2	2	3							13
	სულ	24	24	26	26	25	31							156

№ რიგზე	საგნების დასახელება	საათების რაოდენობა კლასების მიხედვით												
		მოსამზ. კლასი	I კლ.	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	სულ
19	ფაკულტატიური													
20	ჯგუფური და ინდივიდ. მეცადინ. ფიზიკური განვითარების ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად (რითმიკა)	2	2	1	1	2	2			.	.	.	.	10
21	ჯგუფური და ინდივიდუალური მეც. მეტყველ. განვითარების და სხვა ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად	2	2	1	1	1	1			. .	.	. .	.	8
	ს უ ლ	28	28	28	28	28	34			.	.	.	. .	174
	შრომითი და საწარმოო პრაქ. დღეებში საათებში:													

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო
სახლების სამმართველოს უფროსი **რ. კანდელაკი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნები

უსინათლო ბავშვთა განსაკუთრებული რეჟიმის საშუალო სკოლა-ინტერნატის ტიპიური სასწავლო გეგმისა

1. სასწავლო მეცადინეობა და არდადეგები იწყება და მთავრდება რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის დადგენილ ვადებში.

2. გამოცდები ტარდება განათლების სამინისტროს მიერ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის დამტკიცებული საგამოცდო ინსტრუქციის შესაბამისად.

3. საქართველოს სსრ-ში, სადაც სწავლება მშობლიურ ენაზეა, ამასთან მოსწავლეები სწავლობენ რუსულ ენასაც, კვირეული დატვირთვა მე-5—11 კლასში გაზრდილია 2 საათით.

4. სასწავლო ჯგუფების დატვირთვა შრომითი სწავლებასა და საწარმოო შრომითი მომზადების ჯგუფებში შეიძლება იყოს 8—10 კაცი; სამკურნალო ფიზკულტურაში კი—4—6 კაცი.

5. შრომითი და საწარმოო პრაქტიკა ტარდება სასწავლო მეცადინეობის დამთავრების შემდეგ ან მთელი სასწავლო წლის მანძილზე განსაზღვრულ კალენდარულ ვადებში.

პრაქტიკა შეიძლება ჩატარდეს უსინათლოთა საზოგადოების საწარმოებში, ფაბრიკა-ქარხნებში, ლაბორატორიებში, სასწავლო სახელოსნოებში, სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და ა. შ.

პრაქტიკის ჩატარების ვადები ან მისი მონაცვლეობა სასწავლო მეცადინეობასთან განისაზღვრება გრაფიკით.

სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო
სახლების სამმართველოს უფროსი **რ. კანდელაკი**

ყრუ ბავშვთა სკოლა-ინტერნატის სასწავლო გეგმა

1971—1972 სასწავლო წლისათვის

ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე
უ შ. ო ბ ო ლ ა ძ ე
20 აგვისტო, 1971 წელი

№	საგნების დასახელება	მოსამზადებელი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	სულ კვირ. დატვირთვა
1	მშობლიური ენა	12	13	13	13	13	13	13	11	6	4	4	4	4	125
2	მშობლიური ლიტერატურა	—	—	—	—	—	—	—	—	4	4	5	4	5	22
3	ქართ. ენა ან რუს. ენა	—	—	—	—	3	3	3	3	3	3	3	3	3	27
4	მ თემატიკა	4	6	6	6	6	6	6	6	6	6	6	6	6	76
5	ისტორია	—	—	—	—	—	—		2	2	3	3	2	2	16
6	ბუნებისმეცოდნეობა	—	—	—	2	2	2	2	—	—	—	—	—	—	8
7	გეოგრაფია	—	—	—	—	—	—	—	2	3	2	2	3	2	14
8	ბიოლოგია	—	—	—	—	—	—	—	2	2	2	2	2	3	13
9	ფიზიკა	—	—	—	—	—	—	—	—	—	2	2	3	3	10
10	ქიმია	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	4	3	7
11	ხაზვა	—	—	—	—	—	—	—	1	1	1	1	1	1	6
12	სახვითი ხელოვნება	—	1	1	1	1	1	1	—	—	—	—	—	—	6
13	რითმიკა	2	2	2	2	2	2	—	—	—	—	—	—	—	10
14	ფიზიკური კულტურა	—	—	—	—	—	—	2	2	2	2	2	2	2	16
15	შრომითი სწავ. და საწ. შრომითი მომზადება	2	2	2	2	2	2	4	4	4	4	4	4	4	42
	სულ	20	24	24	26	29	31	33	33	35	5	34	38	38	396
	ინდივიდ. მუშაობა წარმოთქმაზე და სმენით აღქმის განვითარებაზე	5	4	4	4	3	2	2	2	2	2	2	2	2	36

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16
№	საგნების დასახელება	მოსამზადებელი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	სულ ერთად დატვირთვა
17	კლასგარეშე მეტყველებაზე მუშაობა . .	4	4	4	3	2	2	2	2	2	2	2	2	—	29
18	ფაკულტატიური მეცადინეობა . . .	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	1	1	2
	სულ . . .	29	32	32	33	35	35	37	37	37	39	39	41	41	467
19	შრომითი და საწარმოო პრაქტიკა														
	დღეებში	—	—	—	—	—	—	6	12	12	12	12	12	—	
	საათებში	—	—	—	—	—	—	48	48	48	48	48	48	—	

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო
სახლების სამმართველოს უფროსი რ. კანდელაკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. სასწავლო მეცადინეობა და არდადეგები იწყება და მთავრდება იმავე ვადებში, როგორც ეს დადგენილია რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის.

2. გამოცდები ტარდება განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული საგამოცდო ინსტრუქციის შესაბამისად.

3. მოსამზადებელი კლასები შეიქმნება მხოლოდ იმ ბავშვებისათვის, რომელთაც არ მიუღიათ სკოლამდელი მომზადება სპეციალურ საბავშვო სახლსა ან სკოლასთან არსებულ სკოლამდელ განყოფილებაში.

4. სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია კლასგარეშე მუშაობა მოსწავლეებში. საყოფაცხოვრებო ხასიათის მეტყველების განვითარების მიზნით მუშაობას ატარებს მასწავლებელი სპეციალური ცხრილით.

5. სასწავლო ჯგუფის დატვირთვა შრომით სწავლებასა და საწარმოო შრომითი მომზადების ჯგუფებში განისაზღვრება 8—10 მოსწავლით.

6. საწარმოო და შრომითი პრაქტიკა ტარდება სასწავლო-მეცადინეობის დამთავრების შემდეგ ან სასწავლო წლის მანძილზე განსაზღვრულ კალენდარულ ვადებში. პრაქტიკის ჩატარების ვადები ან მისი მონაცვლეობა სასწავლო მეცადინეობასთან განისაზღვრება გრაფიკით.

7. გონებით ჩამორჩენილ ყრუ ბავშვთა კლასების დატვირთვა განისაზღვრება 5—7 კაცით, სააღმზრდელო ჯგუფისა კი 10—12 კაცით.

სკოლა-ინტერნატისა და საბავშვო
სახლების სამმართველოს უფროსი **რ. კანდელაკი.**

დამხმარე სკოლა-ინტერნატის სასწავლო გეგმა

1971—1972 სასწავლო წლისათვის

ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე
უ შ. ო ბ ო ლ ა ძ ე
20 აგვისტო 1971 წელი

№ რიგზე	საგნების დასახელება	საათების რაოდენობა კვირაში კლასების მიხედვით								კვირეული საათების რაოდენობა
		I კლ.	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
1	მშობლიური ენა და ლიტერატურა	12	12	12	11	9	8	8	8	80
2	ქართული ან რუსული ენა და ლიტ.	—	—	—	3	3	3	3	3	15
3	მათემატიკა	6	6	6	6	6	6	6	6	48
4	ბუნებისმეტყველება	—	—	—	—	2	2	2	2	8
5	გეოგრაფია	—	—	—	—	2	2	2	2	8
6	ისტორია	—	—	—	—	—	2	2	2	6
7	სახვითი ხელოვნება	1	1	1	1	1	1	—	—	6
8	ხაზვა	—	—	—	—	1	1	2	2	6
9	ფიზკულტურა	2	2	2	2	2	2	2	2	16
10	სიმღერა და მუსიკა	1	1	1	1	1	1	—	—	6
11	ხელგარჯილობა	2	2	2	—	—	—	—	—	6
12	პროფესიული შრომითი სწავლება	—	—	—	5	7	8	9	9	38
	სულ საერთო მეცადინეობა	24	24	24	29	34	36	36	36	243
	ინდივიდუალური ლოგოპედიური მეცადინ.	4	4	4	3	2	3	—	—	20
	სულ	28	28	28	32	36	39	36	36	265
	საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომა და საწარმოო პრაქტიკა									
	დღეებში	—	—	—	—	12	12	24	24	
	საათებში	—	—	—	—	36	36	96	96	

სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო
სახლების სამმართველოს უფროსი რ. კანდელაკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. სასწავლო წლის დასაწყისი, ხანგრძლიობა და არდადეგები წესდება რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ვადების შესაბამისად.

2. პროფესიული შრომითი სწავლება ვაჟებისა და გოგონებისათვის ცალ-ცალკე.

სასწავლო ჯგუფის დატვირთვას შეადგენს 8—10 მოსწავლე.

3. VII—VIII კლასებში საწარმოო პრაქტიკა ტარდება სასწავლო წლის განმავლობაში განსაზღვრულ ვადებში. საწარმოო პრაქტიკის ან მისი მონაცვლეობის ვადები სასწავლო მეცადინეობასთან განისაზღვრება გრაფიკით.

4. V—VI კლასების მოსწავლეები სასწავლო წლის დამთავრების შემდეგ 12 დღის განმავლობაში ეწევიან საზოგადოებრივსასარგებლო შრომას.

5. სკოლებში, სადაც შექმნილია პროფშრომითი სწავლებისათვის კარგი ბაზა, რომელთაც დამყარებული აქვთ მჭიდრო კავშირი საწარმოებთან, კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით იქმნება IX კლასები პროფშრომითი მომზადების გაძლიერებით (მიმდინარე 1971—1972 სასწავლო წელს ასეთი კლასები არ გაიხსნება).

ამ კლასებში ჩაირიცხებიან დამხმარე სკოლის კურსდამთავრებულნი, რომელთაც თავიანთი ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ინტელექტის დონით შეუძლიათ დაეუფლონ აღნიშნული სკოლისათვის განსაზღვრულ პროფესიებს.

მოსწავლეები სპეციალობის მიხედვით საკვალიფიკაციო გამოცდებს აბარებენ იმ საწარმოებში, სადაც ტარდებოდა პრაქტიკა.

სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო
სახლების სამმართველოს უფროსი **რ. კანდელაკი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წ. 4 ოქტომბრის ბრძანება № 576

ზესტაფონის რაიონის სოფელ არგვეთას საბავშვო ბაღში მომხდარი შემთხვევის შესახებ

მიმდინარე წლის 17 სექტემბერს ზესტაფონის რაიონის სოფელ არგვეთაში ჩამოინგრა ერთსართულიანი საბავშვო ბაღის შენობის ჭერი—სახურავით.

საბავშვო ბაღი მოთავსებული იყო სამტრესტის ზესტაფონის ღვინის ქარხნის ბალანსზე რიცხულ შენობაში, რომელიც 1964 წლამდე გამოყენებული იყო სასადილოდ. შენობის სახურავი, ჭერსა და ჩრდილოეთ მხარეზე გრძივი კედლის ბზარების არსებობის გამო, ავარიულ მდგომარეობაში იყო; თუმცა იგი ახალი სასწავლო წლისათვის ქარხნის დირექციამ შეაკეთა, მაგრამ სავსებით უხარისხოდ: არ იქნა გამაგრებული შენობის ავარიული კედელი და არც მისი დაზიანების მიხეზი იქნა შესწავლილი. წინასწარი შემოწმებით დადასტურდა, რომ გაწყვეტილი იყო რკინა-ბეტონის შემკრავი სარტყელი, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია გადახურვისა და ჭერის დაზიანება და ჩამონგრევა.

ჩამონგრევის შედეგად ცამეტმა აღსაზრდელმა და სამმა თანამშრომელმა მიიღო სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანება და ისინი დაუყოვნებლივ იქნენ მოთავსებული საავადმყოფოში. ადგილობრივი სამედიცინო ძალებისა და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სამინისტროს მიერ ქ. თბილისიდან დროულად გაგზავნილი სპეციალისტების მეშვეობით დაზარალებულებს გაეწიათ კვალიფიციური სამედიცინო დახმარება. მძიმე დაზიანების შედეგად ერთი ბავშვი იმავ ღამით გარდაიცვალა საავადმყოფოში. დანარჩენ დაზარალებულთა მდგომარეობა თანდათან გაუმჯობესდა, დღეისათვის ყველა მათგანი უკვე გამოწერილია საავადმყოფოდან, გარდა ერთი ბავშვისა.

მიუხედავად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებისა და არაერთი გაფრთხილებისა, ადგილობრივმა სახალხო განათლების განყოფილებამ და არგვეთას საბავშვო ბაღის გამგემ საბავშვო ბაღში მუშაობა განაახლეს შენობის ტექნიკური მდგომარეობის ვარგისიანობის ჯეროვანი შემოწმების გარეშე. ამასთან დაკავშირებით კოლეგია

ა დ გ ე ნ ს

1. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ ავარიის მიზეზებს ამჟამად იკვლევს სპეციალისტებისაგან შექმნილი კომისია და შედეგები განხილული იქნება რესპუბლიკის სადირექტივო ორგანოების მიერ.

2. ზესტაფონის რაიონის სოფ. არგვეთას საბავშვო ბაღის გამგე მ. მურცხვალაძე, რომელმაც ვერ უზრუნველყო შენობის ვარგისიანობის შემოწმება მუშაობის დაწყების წინ, გადაყენებული იქნეს დაკავებული თანამდებობიდან.

3. ზესტაფონის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგეს ვ. ჩიქოვანს, საბავშვო ბაღის შენობის ტექნიკურ მდგომარეობაზე სათანადო კონტროლის დაუდგენლობისათვის გამოეცხადოს საყვედური.

4. კოლეგია ავალებს აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოს აღმასკომების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებს:

ა) კვალიფიციური სპეციალისტების მონაწილეობით უმოკლეს ვადებში შეისწავლონ შეგუებულ და ავარიულ შენობებში მოთავსებული საბავშვო დაწესებულებების შენობათა ტექნიკური მდგომარეობა და მათი ვარგისიანობა შემდგომი ექსპლოატაციისათვის;

ბ) მიიღონ ქმედითი ზომები სასწავლო დაწესებულებათა შენობების ტექნიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ხოლო იქ, სადაც ეს შეუძლებელია შენობათა უვარგისობის გამო, დაუყოვნებლივ გამოიყვანონ ამ შენობებიდან საბავშვო დაწესებულებები და მოათავსონ ისინი სხვა ვარგის შენობებში.

5. კოლეგია საჭიროდ თვლის განსაკუთრებით აღნიშნოს, რომ რიგი ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეები, სკოლისა და სხვა საბავშვო დაწესებულებათა ხელმძღვანელები ჯეროვან ყურადღებას არ იჩენენ შენობათა მოვლა-პატრონობისა და მათი ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობე-

სების საქმისადმი, რის შედეგად ხშირად შენობის სახურავიდან ჩამოდის წვიმის წყლები, დაზიანებულია სართულშორისი გადახურვები, წყალსადენ-კანალიზაციის ქსელი და ელექტრო-გაყვანილობა, მოშლილია წყალსაწრეტი მილები, შენობის ირგვლივ არ არის სარინელები, ჩამტვრეულია შემინვა და სხვ., რის შედეგად ბევრი შენობა იმდენად ზიანდება, რომ მათში მეცადინეობა საფრთხის წინაშე აყენებს ბავშვთა სიცოცხლეს.

კოლეგია მკაცრად აფრთხილებს სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებს და სასწავლო-საალმზრდელო დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, რომ შენობის მოვლა-პატრონობის საქმეში დაუდევრობის გამოჩენისა და ავარიის შემთხვევებში პერსონალური პასუხისმგებლობა დაეკისრება პირადად მათ.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წლის 24 სექტემბრის კოლეგიის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. ბრძანება № 424—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლა-ინტერნატების, სასწავლო დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოთა შრომის დაცვის ნაკრებ ნორმენკლატურულ ღონისძიებათა შესახებ 3
2. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ფიზიკური კულტურის კოლექტივის დებულება 14
3. ბრძანება № 463—ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებელთა მეთოდური მუშაობის შესახებ 21
4. ბრძანება № 403/542—რესპუბლიკის სკოლებში, სკოლა-ინტერნატებსა და სხვა საბავშვო დაწესებულებებში ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ . . . 34
5. ბრძანება № 351—ახალციხის დამხმარე სკოლა-ინტერნატის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 39
6. სკოლა-ინტერნატების სასწავლო გეგმები 42
7. ბრძანება № 576—ზესტაფონის რაიონის სოფელ არგვეთას საბავშვო ბაღში მომხდარი შემთხვევის შესახებ 63

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი უშ. ობოლაძე
კორექტორი ე. აგლაძე

ფასი 14 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 7/XII-71 წ. ანაწყობის ზომა 6×9,5,
ქაღალდის ზომა 60×84, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 4,25

შეკვ. № 1416. უე—11643 ტირაჟი 5.000.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო
კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის სტამბა № 11, უშ. ჩხეიძის ქ. № 19.
Типография № 11 Главполиграфпрома Комитета по печати при Совете
Министров ГССР ул. Уш. Чхеидзе № 19